



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის კოლიტივის შეფასება

საქართველოს სახალხო დამცველი
2022

კვლევის ავტორი: მარიამ ჯანიაშვილი

ანგარიში მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორ(ებ)ისეულია და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, რომელიმე მისი წევრი სააგენტოს ან ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებებს.

სარჩევნი

შესავალი	4
კვლევის მეთოდოლოგია	5
ძირითადი მიგნებები	7
1. საერთაშორისო სტანდარტები გენდერული თანასწორობის და გენდერული მენისტრიმინგის სფეროში	10
1.1. გენდერული თანასწორობა და გენდერული მენისტრიმინგი - საერთაშორისო ვალდებულებების შინაარსი	11
1.2. მუნიციპალიტეტების როლი გენდერული მენისტრიმინგისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ნაწილში	13
2. რელევანტური ეროვნული სტანდარტების მიმოხილვა	16
3. ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმების ზოგადი მიმოხილვა	18
4. გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტებში - ძირითადი ტენდენციები	19
4.1. გენდერული თანასწორობის საბჭოების ფუნქციონირება - ძირითადი მიღწევები და გამოწვევები	19
4.1.1. გენდერული თანასწორობის საბჭოების ფუნქციონირება	19
4.1.2. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ძირითადი საჭიროებები	21
4.1.3. მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან	24
4.2. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული პოლიტიკის ფორმირება მუნიციპალიტეტებში	26
4.2.1. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები	27
4.2.2. სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება	29
4.2.3. ბიუჯეტირების საკითხი	30
4.2.4. კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაზე	32
4.3. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა მუნიციპალურ დონეზე და მხარდამჭერი მექანიზმების მიმოხილვა	34
4.3.1 ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური დაცვა	35
4.3.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა	40
4.3.3. ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა	42
4.3.4. მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა	44
4.4. ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში	46
4.4.1. მუნიციპალურ თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობითობა	46
4.4.2. გადაწყვეტილების მიღების დროს ქალთა მონაწილეობის შესაძლებლობები	49
რეკომენდაციები	55

შესავალი

გენდერული თანასწორობა და ქალთა და კაცთა მიერ ნებისმიერი უფლებითა და თავისუფლებით თანაბარი, ეფექტიანი და სრული სარგებლობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი და უშუალოდ უკავშირდება ადამიანის ღირსებასა და სამართალსუბიექტობას. მიუხედავად ამისა, ქალები დღემდე აწყდებიან ბარიერებს ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარი მონაწილეობის კუთხით. კიდევ უფრო მწვავე მდგომარეობაში არიან ის ქალები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გამო (მაგალითად, რელიგიური ან/და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, შშმ ქალები, ხანდაზმულები, ბავშვები, ლბტ ქალები) ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან.

თავისი სისტემური და კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, გენდერული თანასწორობა ვერ მიიღწევა მხოლოდ ფორმალური, გენდერულად ნეიტრალური ინსტრუმენტებისა და მექანიზმების (მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტების) შექმნით. ამისთვის აუცილებელია ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მხედველობაში მიიღებს არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უთანასწორობებს, რომელთა წინაშეც დგანან ქალები.¹

გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით ვალდებულება სახელმწიფოს ყველა შტოსა და დონეს აკისრია, რომელიმე რგოლის გამორიცხვა ამ პროცესიდან პოლიტიკის მნიშვნელოვან ჩავარდნას იწვევს, თუმცა, შეუძლებელია, არ აღინიშნოს ამ სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების განსაკუთრებული როლი და ფუნქციები.

ცენტრალური ხელისუფლებისგან განსხვავებით, მუნიციპალიტეტებს უფრო მეტად აქვთ/უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია მათ ტერიტორიაზე მცხოვრებთა საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ, სხვადასხვა, მათ შორის, გენდერული თანასწორობისა და ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ეფექტურად. ამიტომაც, გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი სწორედ მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა და მათი სათანადო გაძლიერება უნდა იყოს.

დაახლოებით ხუთიწლიანი გავიდა მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტებმა გენდერული თანასწორობისა და მეინსტრიმინგის მიმართულებით რელევანტური ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირება დაიწყეს. კერძოდ, 2017 წლიდან დაიწყო ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა, გენდერული თანასწორობის საკითხებზე სამოქმედო გეგმის შექმნა და დამტკიცება, გენდერული თანასწორობის საბჭოების ამოქმედება და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა. ამ ღონისძიებების ფორმალურად არსებობა ცალსახად მნიშვნელოვანი, თუმცა არასაკმარისია გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველსაყოფად.

მოცემული ანგარიშის მიზანია, მუნიციპალური პოლიტიკა შეაფასოს გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით, გააანალიზოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები და გამოავლინოს ის გამოწვევები, რომელთა აღმოფხვრაც მნიშვნელოვანი იქნება გენდერული უთანასწორობისა და გენდერულად არამგრძნობიარე მიდგომების გადასაჭრელად.

1. The Committee on Economic, Social and Cultural Rights, General comment No. 16, The equal right of men and women to the enjoyment of all economic, social and cultural rights (art. 3 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 2005, პარა. 8.

კვლევის მეთოდოლოგია

მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის მიმართულებით არსებული პოლიტიკის შეფასება განხორციელდა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, სამაგიდე და თვისებრივი კვლევის მეთოდების მეშვეობით.

მუნიციპალურ დონეზე გენდერული მენისტრიმინგისა და გენდერული თანასწორობის საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში რამდენიმე საკვლევი მიმართულების იდენტიფიცირება მოხდა:

- მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოების ფუნქციონირება და მათი საქმიანობის ძირითადი თავისებურებები;
- მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის სფეროში არსებული პოლიტიკის დოკუმენტების მოქმედების საკითხი;
- სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შემუშავების, ასევე, ბიუჯეტირების საკითხები;
- ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და მუნიციპალურ დონეზე მხარდამჭერი მექანიზმების არსებობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა.

საკვლევი საკითხების შინაარსიდან გამომდინარე, კვლევის პროცესმა თავის თავში მოიცვაროგორც სამაგიდე, ისე თვისებრივი კვლევა. სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები (როგორც მყარი, ისე ე.წ. „რბილი“ სამართლის ნორმები), რომელიც მიემართება გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის მიმართულებით არსებულ ვალდებულებებს, განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების ქრილში. მეორე მხრივ, გაანალიზდა ადგილობრივ დონეზე საკანონმდებლო, პოლიტიკისა და ინსტიტუციური ჩარჩოები გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის მიმართულებით. სამაგიდე კვლევის ფარგლებში, საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტებთან ერთად დამუშავდა თემისთვის რელევანტური მეორადი წყაროები, მათ შორის, ანგარიშები და კვლევები.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა და დაამუშავა ინფორმაცია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისგან, რათა უკეთ გაეანალიზებინა გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა და პრაქტიკა. სამწუხაროდ, აპარატმა მხოლოდ 21 მუნიციპალიტეტისგან 2 მიიღო ინფორმაცია, რაც საერთო სურათის გაანალიზების პროცესში კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს.

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის მუნიციპალური პოლიტიკის შესწავლის პროცესმა თვისებრივი კვლევის განხორციელებაც გაითვალისწინა. წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში განახორციელეს ვიზიტები და ფოკუს-ჯგუფის ფორმატში გაესაუბრნენ:

2. ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ბაღდათის, რუსთავის, ქიათურის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, ახმეტის, გურჯაანის, ასპინძის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის, გორის, ქარელის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის მუნიციპალიტეტები.

ქირითაღი მიგნებაები

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური ჩარჩო და პოლიტიკის ღონისძიებები:

- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოები, ასევე, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მუნიციპალური დოკუმენტები გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით მნიშვნელოვან მექანიზმებს წარმოადგენს. საბჭო პრაქტიკულად ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს. ერთადერთ გამონაკლისს სენაკის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს, რომლის ტერიტორიაზე კვლევის განხორციელების დროისათვის საბჭო არ ფუნქციონირებდა;
- გენდერული თანასწორობის საბჭოებთან ფოკუს-ჯგუფების ჩატარების დროისთვის არაერთ მუნიციპალიტეტში (მაგ., სენაკის, ჩხორონყუს, ქუთაისის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, ბაღდათის, ჭიათურის, თიანეთის, ყაზბეგის, მცხეთის, მესტიის, წალკის, თეთრიწყაროსა და ხობის მუნიციპალიტეტები) მიმდინარე წლის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები დამტკიცებული არ იყო;
- წინა წლებში მოქმედი გეგმებისგან განსხვავებით, გენდერული თანასწორობის ამჟამინდელი სამოქმედო გეგმები „გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს პრინციპებს“ დაეყრდნო, რომელიც, თავის მხრივ, 2021 წელს, ათეა-მ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შეიმუშავა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმები დაიხვეწა და ადგილობრივ საჭიროებებს უფრო მეტად მოერგო;
- მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილს არ განუხორციელებია გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება/ანალიზი, უმეტესწილად ამ მიმართულებით რელევანტური ფორმალური მექანიზმის არარსებობის გამო;
- გენდერული თანასწორობის საბჭოების ეფექტიანი ფუნქციონირების მიმართულებით დღემდე არაერთი ბარიერი არსებობს, მათ შორისაა, გადანყვეტილების მიმღებთა და აღმსრულებელთა მხრიდან საკითხის სიღრმისეული ცოდნა და ექსპერტიზა, ფინანსური და ადამიანური რესურსები, მუნიციპალიტეტების გადანყვეტილების მიმღები პირების გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ სენსიტიურობა. ზემოაღნიშნული გამოწვევები, საბოლოო ჯამში, მკვეთრად უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველყოფაზე;
- გენდერული თანასწორობის საბჭოების მუშაობის ერთ-ერთ ბარიერს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები წარმოადგენს. მაგალითისთვის, ასეთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოს შემადგენლობის ცვლილება არჩევნებისა და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად, რის შედეგადაც იკარგება ინსტიტუციური მეხსიერება, ასევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიერ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმასთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების მეორე პლანზე გადასვლა;
- მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად არსებითია მისი საქმიანობის ღიაობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, რაც ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში გამოწვევებთან არის დაკავშირებული. მაგალითისთვის, არაერთ ლოკაციაზე მცხოვრებმა ქალებმა დააფიქსირეს, რომ საბჭოს შესახებ არ სმენიათ ან/და მათთან თანამშრომლობითი ურთიერთობა არასოდეს ჰქონიათ;
- 2022 წელს მუნიციპალიტეტებსა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოს შორის აქტიური თანამშრომლობა დაიწყო, რაც, იმედია, სამომავლოდ ხელს შეუწყობს

გენდერული თანასწორობის მიმართულებით ერთგვაროვანი, კოორდინირებული და საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას. მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებათაშორის კომისიასთან მუნიციპალიტეტების სამომავლო თანამშრომლობის ჩარჩო ჯერ კიდევ ბუნდოვანია;

- კვლევის პროცესში გამოვლინდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლების სისტემური და სისტემატიური გადამზადების აუცილებლობა, მათ შორის, გენდერულ თანასწორობასთან, ქალთა უფლებებთან, გენდერულ მენისტრიმიტიგთან დაკავშირებით;
- მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების უმრავლესობამ მიუთითა, რომ თანამდებობის პირის მიერ თანასწორობის წინააღმდეგ მიმართულ, მიზოგინიურ/სექსისტურ ან/და ჰომოფობიურ განცხადებებზე რეაგირების მექანიზმები არ გააჩნია;
- როგორც კვლევამ გამოავლინა, პოლიტიკის შემუშავების დროს მუნიციპალიტეტები სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობიან. მათი უმრავლესობისათვის გამოწვევას კვლევების განხორციელება და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარმოადგენს, რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის, მათ შორის, რელევანტური დოკუმენტებისა და სერვისების, შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის;
- მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ სექსის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების წარმოება არ ხდება. მუნიციპალიტეტების საბჭოს წევრები უთითებენ ამ ნაწილში გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობაზე;
- გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელების ერთ-ერთ ხელშემშლელ ბარიერს არასაკმარისი ფინანსური რესურსები წარმოადგენს. უშუალოდ გენდერულ თანასწორობაზე ბიუჯეტი მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტს აქვს გამოყოფილი. გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შემუშავებისათვის საბჭოს წევრები ხაზს უსვამენ ცოდნითა და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე.

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა მუნიციპალურ დონეზე და მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

- კვლევამ აჩვენა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ქალების უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია მათ მხარდამჭერ სერვისებთან, მათ შორის, იმ მომსახურებებთან დაკავშირებით, რასაც მათ მუნიციპალიტეტი სთავაზობს. ინფორმირებულობასთან ერთად საერთო პრობლემას წარმოადგენს სერვისების მდგრადობა, რომელიც ერთჯერადი ფულადი გასაცემლების მიღმა უნდა განვითარდეს;
- კვლევის პროცესში, არაერთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს მიგრაციის ტენდენციასა და მიგრაციის ფემინიზაციის პრაქტიკაზე, როგორც ფიზიკური გადარჩენისაკენ მიმართულ უკვე ფართოდ გამოყენებულ უკიდურეს გამოსავალზე;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ნაწილში არაერთი ბარიერი გამოიკვეთა, რაც სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას მოითხოვს, მათ შორისაა, შინ შრომა და ზრუნვასთან დაკავშირებული შრომა, ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის პრობლემები, ენობრივი ბარიერი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის, პროფესიულ განათლებაზე წვდომის გამოწვევები, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებზე წვდომის პრობლემები, ასევე, მიწაზე შეზღუდული წვდომა;

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა საქართველოს რეალობაში კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ გამოწვევას ქვეყანა მდგრადი და ეფექტიანი სერვისებითა და მექანიზმებით არ ხვდება. ცენტრალურ დონეზე, ასევე, მუნიციპალიტეტების ნაწილში არსებული სერვისების არსებობის მიუხედავად, პრობლემურია ამ მომსახურებების დროებითი ან/და ერთჯერადი ხასიათი, ასევე, სერვისში ჩართვისთვის აუცილებელი კრიტერიუმების (როგორცაა, მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის არსებობა ან/და სახელმწიფო ინსტიტუტების (სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი) მიერ რელევანტური სტატუსის მინიჭება) დაკმაყოფილება, რაც ქალებისთვის უდიდეს ბარიერს ქმნის და დაუცველობის შეგრძნებას აჩენს. დაბალია რეაგირებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ ქალთა ინფორმირებულობის მაჩვენებელი;
- კვლევამ აჩვენა, რომ ქალების წინაშე მწვავედ დგას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე, ასევე ინფორმაციაზე წვდომა, განსაკუთრებით, სოფლებში;
- კვლევამ აჩვენა, რომ ქალების დასაქმება, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გაიზარდა, თუმცა არაერთი სისტემური ბარიერი (გადაუნაწილებელი შინ შრომა, პროფესიულ გადამზადებაზე წვდომა, სექსუალური პრევენციის მექანიზმის არარსებობა და სხვა) მათ წინსვლასა და გაძლიერებას ხელს უშლის;
- საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს, რომ მუნიციპალიტეტში შეხვედრებისას, გადაწყვეტილების მიღების დროს, მათ შორის, ბიუჯეტის შემუშავებისას, მათი ჩართულობის ხარისხი მკვეთრად დაბალია, რაც მრავალი ფაქტორით, მათ შორის, ინფორმირებულობის ნაკლებობით, პროცესისადმი ნდობის არარსებობით, შინ შრომით, ტრანსპორტზე წვდომით, სტერეოტიპული მიდგომებით, არის განპირობებული. ამ ნაწილში კიდევ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები დგებიან, მათ შორის, შშმ ქალები, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები, ხანდაზმულები, დევნილი ქალები, და სხვა.

1. საერთაშორისო სტანდარტები გენდერული თანასწორობის და გენდერული მეინსტრიმინგის სფეროში

გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის სფეროში არსებული სტანდარტების შინაარსის მიმოხილვისთვის არსებითია როგორც საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების, ისე სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმის ფარგლებში შემუშავებული ე.წ. რბილი სამართლის ნორმების ანალიზი.

ამ საკითხების შინაარსობრივ ასპექტებზე არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი ამახვილებს ყურადღებას, მათ შორისაა, გაეროს, ევროსაბჭოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები. მაგალითად შეიძლება ისეთი ინსტრუმენტების მოყვანა, როგორცაა, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (ე.წ. სტამბოლის კონვენცია), საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, ასევე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ კონვენცია (№100), კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ (№111), ოჯახური მოვალეობების მქონე მუშაკთა შესახებ კონვენცია (№156), დედობის დაცვის შესახებ კონვენცია (№183) და დეკლარაცია შრომის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ.³

გენდერული თანასწორობისა და მეინსტრიმინგის საკითხები, მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაწილიც გახდა. 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა მიაღწიონ ისეთ მნიშვნელოვან ამოცანებს, როგორცაა, მაგალითად, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საჯარო სფეროებში ქალთა თანაბარი და ეფექტიანი მონაწილეობისა და მათთვის დანიშნულებისა და ლიდერობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ქალთა თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა ეკონომიკურ რესურსებთან, სოციალური დაცვის სისტემასა თუ შესაბამის ინფრასტრუქტურასთან.⁴

გენდერული თანასწორობისა და მეინსტრიმინგის კუთხით ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტია *პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა*, რომელიც 1995 წელს, ქალთა საკითხებზე გამართულ IV მსოფლიო კონფერენციის ფარგლებში მიიღეს და რომელიც განსაზღვრავს 12 პრიორიტეტულ სფეროს, რომელთა მიმართაც სახელმწიფოებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ. ამ სფეროებს შორისაა, ქალთა მიმართ ძალადობა, სიღარიბე, განათლება და პროფესიული გადამზადება, ჯანმრთელობის დაცვა, ეკონომიკა, ქალთა მონაწილეობა სახელმწიფოს მმართველობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მედიასაშუალებები და სხვ.⁵

3. ინფორმაცია მისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3Q7w5Ts>.

4. ინფორმაცია მისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3SV28bd>.

5. Beijing Declaration and Platform for Action, 1995, პარა. 19; <https://bit.ly/30IFl8r>.

1.1. გენდერული თანასწორობა და გენდერული მეინსტრიმინგი - საერთაშორისო ვალდებულებების შინაარსი

როგორც ზემოთ აღინიშნა, გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მნიშვნელობაზე არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება და ორგანიზაცია მიუთითებს. მათ შორისაა ის ინსტრუმენტები, რომელთა ხელშემკვრელი სახელმწიფოც საქართველოა და რომლის შესრულებაზეც ჩვენი ქვეყანა პასუხისმგებელია.

გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის სფეროში, პირველ რიგში, აღსანიშნავია *გაეროს 1979 წლის კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ*, რომლის ხელშემკვრელი სახელმწიფოები, მათ შორის, საქართველო, კისრულობენ ვალდებულებას, ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით, დაუყოვნებლივ გაატარონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა.⁶ ამ მიზნით კონვენცია განწერს არაერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას, მათ შორის, გენდერული თანასწორობის პრინციპის კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში შემოტანასთან დაკავშირებით, ქალთა დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონმდებლობის შემოღებისა და ამოქმედების, ასევე, ამავე მიზნით ინსტიტუციური ჩარჩოს გამართვის მიმართულებით, რომელიც, საბოლოო ჯამში, არა მხოლოდ ფორმალურ დონეზე შემოიტანს გენდერული თანასწორობის კონცეფციას, არამედ პრაქტიკაშიც აღმოფხვრის დისკრიმინაციას, რომელიც ქალთა მიმართ არსებობს.⁷

საყურადღებოა, რომ კონვენცია მიუთითებს სახელმწიფოთა ვალდებულებაზე, გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ამკრძალავი პოლიტიკა ყველა დარგში - პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში - გაატარონ⁸ და კონკრეტულ დებულებებში მიუთითებს კიდევ არაერთ განსახორციელებელ ღონისძიებაზე, მათ შორის, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განათლების, შრომისა და დასაქმების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში ქალთა თანაბარი ჩართულობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის მიმართულებით.⁹

გენდერულ თანასწორობას გაეროს ეგიდით შემუშავებული სხვა არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებაც ეხება, მათ შორისაა, *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ*, *საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ*, *გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ* და სხვ. ამ ინსტრუმენტების კვალდაკვალ სხვადასხვა მექანიზმები, მათ შორის, გაეროს კომიტეტები და სპეციალური პროცედურები საუბრობენ სახელმწიფოთა მთელ რიგ ვალდებულებებზე ამ სფეროსთან მიმართებით, მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმალურად არსებობასა და პრაქტიკაში მათ ეფექტიან აღსრულებასთან დაკავშირებით. ეს ვალდებულებები, სხვა მიმართულებებთან ერთად, ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა, გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობისა და ზეგავლენის შეფასების მექანიზმის არსებობა, ასევე, გენდერული თანასწორობის დაცვა ნებისმიერი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით სარგებლობისას, მათ შორის, შრომისა და დასაქმების,

6. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979, მ. 2.

7. იქვე.

8. იქვე, მ. 3.

9. იქვე, მ. 7-13.

სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით.¹⁰

ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან ერთად, საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მიუთითებს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი ქალების საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობაზე სახელმწიფოს მიერ გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის მიმართულებით მუშაობისას, მათ შორის არიან, მაგალითად, შშმ ქალები,¹¹ ხანდაზმულები,¹² სოფლად მცხოვრები ქალები,¹³ ასევე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები.¹⁴

გენდერულ თანასწორობაზე საუბრისას, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი მიუთითებს, რომ მხოლოდ წმინდა პროგრამული ან ლეგალისტური მიდგომები ვერ უზრუნველყოფს დე ფაქტო გენდერულ თანასწორობას. კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლებელია, საჭირო გახდეს ქალების მიმართ წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად დაისახავს მათ სათანადო გააქტიურებასა და წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფას, ასევე, ქალსა და კაცს შორის რესურსებისა და ძალაუფლების თანაბრად გადანაწილებას.¹⁵ ამ მიმართულებით აღსანიშნავია გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განკუთვნილი სპეციალური ღონისძიებები, მათ შორის, კვოტირების სისტემის შემოღება, ქალების ჩასართავად განათლების, ეკონომიკის, პოლიტიკური ცხოვრებისა თუ დასაქმების სფეროებში.¹⁶

გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტები მიუთითებენ კიდევ ორ მნიშვნელოვან ვალდებულებაზე, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის პოლიტიკაზე:

- *სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება* - სახელმწიფომ ნებისმიერ სექტორთან მიმართებით უნდა დაამუშაოს სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები და ის ხელმისაწვდომი გახადოს

10. იხ. 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, მ. 3; Human Rights Committee, General Comment No. 28, Article 3 (The equality of rights between men and women), (Replaces general comment No. 4), 2000, HRI/GEN/1/Rev.9, პარა. 3; 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, მ. 3, 7; The Committee on Economic, Social and Cultural Rights, General comment No. 23, General comment No. 23 (2016) on the right to just and favourable conditions of work (article 7 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 2016, პარა. 11, 13, 16, 17, 30, 47; The Committee on Economic, Social and Cultural Rights, General comment No. 16, The equal right of men and women to the enjoyment of all economic, social and cultural rights (art. 3 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 2005, პარა. 26, 27, 30; The Committee on Economic, Social and Cultural Rights, General comment No. 19, The Right to Social Security, 2007, პარა. 19; Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No. 24: Article 12 of the Convention (Women and Health), 1999, პარა. 31; The Committee on Economic, Social and Cultural Rights, General comment No. 22 on the right to sexual and reproductive health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 2016, პარა. 25 – 28.

11. The Committee on Economic, Social and Cultural Rights, General comment No. 5: Persons with disabilities, 1994, პარა. 19. გაეროს 2006 წლის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, პრეამბულა, მ. 6; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 3 (2016) on women and girls with disabilities, CRPD/C/GC/3, 2016.

12. The Committee on Economic, Social and Cultural Rights, General comment No. 6, The economic, social and cultural rights of older persons, 1995, პარა. 21; Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No. 27 on Older Women and Protection of their Human Rights, CEDAW/C/GC/27, 2010, პარა. 10.

13. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979, მ. 14; Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No. 34 (2016) on the rights of rural women, CEDAW/C/GC/34, 2016, პარა. 35.

14. Report of the Independent Expert on minority issues, Rita Izsák, A/HRC/25/56, 2014, პარა. 50.

15. Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No. 25: Article 4, paragraph 1, of the Convention (temporary special measures), 2004, პარა. 8.

16. Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No. 5: Temporary Special Measures, 1988.

დაინტერესებული პირებისათვის/მხარეებისთვის.¹⁷ საბოლოო ჯამში, ამგვარი სტატისტიკა სახელმწიფოს დაეხმარება, ერთი მხრივ, არსებული პოლიტიკის ქალებზე ზეგავლენის შესაფასებლად, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული საჭიროებების გამოსაკვეთად და მიზნობრივი ღონისძიებების დასაგეგმად.

- *მონაწილეობის გარანტირება* - ეს მიმართულება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პარადიგმის განუყოფელი ნაწილია. საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მიუთითებენ იმაზე, რომ სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ქალთა მონაწილეობას შესაბამისი უწყებების მიერ გადაწყვეტილების მიღების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.¹⁸ ამ მიმართულებით, გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირების პროცესი და მისი ინკლუზიურობა ერთ-ერთი არსებითი საკითხია.¹⁹

1.2. მუნიციპალიტეტების როლი გენდერული მენისტრიმინგისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ნაწილში

გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლების როლი უმნიშვნელოვანესია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ქალთა ეფექტიანი ჩართულობა და მონაწილეობა, ადგილობრივ დონეზე არსებული მმართველობის ორგანოების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. მეტიც, როგორც წესი, სწორედ მუნიციპალიტეტები არიან ის რელევანტური აქტორები, რომელთა ძირითად ფუნქციებშიც შედის ადგილობრივი მოსახლეობისათვის იმ სოციალური, ეკონომიკური გაძლიერების, ინფრასტრუქტურული პროგრამებისა და სერვისების შემუშავება, განხორციელება და მათი მისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელთა შინაარსშიც უნდა აისახოს და დაინერგოს გენდერული თანასწორობის პრინციპი და გენდერული პერსპექტივები.

ადგილობრივი ხელისუფლების როლთან დაკავშირებით მნიშვნელოვან სტანდარტებს აწესებს პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა. ამ ინსტრუმენტის თანახმად, ხელისუფლების ყველა დონემ უნდა შეუწყოს ხელი ქალთა გაძლიერებასა და წინსვლას და ამ მიზნით, შეიმუშაოს, განახორციელოს და ზედამხედველობა გაუწიოს გენდერულად მგრძობიარე და ეფექტიან პოლიტიკასა და პროგრამებს.²⁰

ამასთანავე, პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, მთელ რიგ საკითხებთან ერთად, მიუთითებს მუნიციპალიტეტების მნიშვნელობაზე ქალთა უფლებების დაცვის მთელ რიგ სფეროში. მათ შორისაა, ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ ძალადობა და ძალადობაგამოვლილი პირების სათანადო მხარდაჭერა, ქალების თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა განათლებაზე, ჯანდაცვაზე, უძრავი ქონების საკუთრებაზე, კრედიტზე, კაპიტალზე, ბუნებრივ რესურსებსა თუ განვითარების პროგრამებზე, ასევე, ქალების წვდომა საცხოვრებელ ინფრასტრუქტურაზე, წყალზე, ენერჯის რესურსებზე და სხვ.²¹

მეორე მხრივ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი მიუთითებს ხელისუფლების ყველა დონის, მათ შორის, მუნიციპალიტეტების, მიერ, ქალთა მიმართ

17. Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 9: Statistical data concerning the situation of women, 1989.

18. The Committee on Economic, Social and Cultural Rights, General comment No. 16, The equal right of men and women to the enjoyment of all economic, social and cultural rights (art. 3 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 2005, პარა. 37.

19. Report of the Working Group on the issue of discrimination against women in law and in practice, A/HRC/35/29, 2017, პარა. 31.

20. Beijing Declaration and Platform for Action, 1995, პარა. 19; <https://bit.ly/30IFl8r>.

21. იქვე, პარა. 80, 110, 125, 166, 256.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ეფექტიანი აღსრულების აუცილებლობაზე. კომიტეტი აქცენტს აკეთებს ამ პროცესში ყველა რელევანტური უწყების, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების, მიერ მდგრადი მხარდაჭერის მიღების აუცილებლობაზეც, რომელთა შორისაცაა, საკმარისი ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა.²²

დამატებით, კომიტეტი გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენსტრინგის მიმართულებით მუშაობის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიიჩნევს ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის კოორდინაციის საკითხს.²³ კომიტეტის მითითებით, დასახული მიზნების მისაღწევად და ამოცანების განსახორციელებლად უწყებათაშორისი კოორდინაცია, მათ შორის, ლოკალურ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის სისტემატური და ინსტიტუციონალიზებული უნდა იყოს.²⁴

ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენსტრინგის მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ევროპული ქარტია „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“, რომელიც ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს ფარგლებში, 2006 წელს შეიქმნა და რომლის ხელმომწერიც არის საქართველოს 21 მუნიციპალიტეტი.²⁵ დოკუმენტი მიუთითებს იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელიც აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას მოსახლეობაში გენდერული თანასწორობის განმტკიცების მიმართულებით და ლოკალურ და რეგიონულ მთავრობებს განუსაზღვრავს ექვს ძირითად პრინციპს, რომლებიც რელევანტურია მათ მიერ ამ სფეროში საქმიანობის განხორციელებისას:²⁶

- ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობა ფუნდამენტური უფლებაა - ეს პრინციპი გულისხმობს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მათი საქმიანობის ყველა სფეროში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას;
- ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია დისკრიმინაციის პრობლემასთან ბრძოლა - პრინციპი ეხება გენდერულ უთანასწორობასთან ბრძოლისას სხვადასხვა კუთვნილების საფუძველზე დისკრიმინაციის საკითხების გათვალისწინებას;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და კაცების დაბალანსებული მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების წინაპირობაა - ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრია ვალდებულება, განახორციელოს ღონისძიებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის დასაცავად და ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობისათვის;
- გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მისაღწევად - ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს სტერეოტიპებისა და დაბრკოლებების აღმოფხვრას, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გენდერულ უთანასწორობას იწვევენ;
- გენდერული პერსპექტივის ჩართვა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ყველა

22. Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding observations on the combined eighth and ninth periodic reports of Sweden, CEDAW/C/SWE/CO/8-9, 2016, პარა. 19.

23. Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding observations on the ninth periodic report of Mexico, CEDAW/C/MEX/CO/9, 2018, პარა. 15; Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding observations on the combined fifth and sixth periodic reports of Estonia, CEDAW/C/EST/CO/5-6, 2016, პარა. 13.

24. იქვე.

25. ლაგოდების (2019), ყვარლის (2020), ახმეტის (2020), თიანეთის (2020), გარდაბნის (2020), რუსთავის (2019), მცხეთის (2020), გორის (2020), ბოლნისის (2020), ონის (2021), ასპინძის (2020), ამბროლაურის (2020), ცაგერის (2020), წყალტუბოს (2020), ქუთაისის (2019), ხობის (2021), სენაკის (2020), ლანჩხუთის (2021), ოზურგეთის (2019), ფოთის (2020), ნინოწმინდის (2020) მუნიციპალიტეტები.

26. ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ, 2006, <https://bit.ly/30c3Jlu>.

საქმიანობაში, აუცილებელია ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის გასაძლიერებლად - ეს პრინციპი გულისხმობს გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებას კანონმდებლობისა თუ პოლიტიკის შემუშავების პროცესში, მათ შორის, გენდერული მეინსტრიმინგისა და გენდერული ბიუჯეტირების გამოყენებით;

- შესაბამისად უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმები და პროგრამები აუცილებელი ინსტრუმენტია ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის გასაღრმავებლად - ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს თანასწორობის სამოქმედო გეგმები და პროგრამები, რომლებიც ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსებით იქნება უზრუნველყოფილი.

გარდა ზოგადი პრინციპებისა, დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებებს მთელ რიგ სფეროებთან, მათ შორის, განათლებასთან, ჯანდაცვასთან, სოციალურ დაცვასთან, მობილობასთან, ურბანულ დაგეგმარებასთან, ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფენ მოსახლეობაში გენდერული თანასწორობის სათანადოდ დამკვიდრებას.

2. რელევანტური ეროვნული სტანდარტების მიმოხილვა

საერთაშორისო სტანდარტების საპირწონედ, მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე არსებული სტანდარტების მიმოხილვა. გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე, პირველ რიგში, მიუთითებს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს კაცებისა და ქალებისათვის და იღებს განსაკუთრებულ ზომებს მათ შორის არსებითი თანასწორობის მისაღწევად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.²⁷

თანასწორობის კონსტიტუციით განსაზღვრული პრინციპი უდევს საფუძვლად საქართველოს კანონს „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შექმნას სათანადო პირობები ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.²⁸

ამ კანონთან ერთად, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი ეროვნული ინსტრუმენტებია კანონები - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.²⁹

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ მოახდინა მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებული მიზნებისა და ინდიკატორების ნაციონალიზაცია და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომლის ერთ-ერთ მიმართულებასაც გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესება წარმოადგენს.³⁰ სამოქმედო გეგმა მოიცავს საქართველოსთვის მისადაგებულ/ეროვნულ ინდიკატორებს და სამიზნე მაჩვენებლებს, რომელთა შორისაა:

- თანასწორობისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის არარსებობის ხელშეწყობის, აღსრულებისა და მონიტორინგის მიზნით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა;
- პარლამენტსა და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა;
- პირდაპირი წესით არჩეული ქალი მერების პროპორციული რაოდენობა;
- დანიშნული ქალი სახელმწიფო რწმუნებულის პროპორციული რაოდენობა;
- ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული ოდენობა;
- ქალების წილი I და II რანგის მოხელის თანამდებობებზე;
- განსხვავება ხელფასებში გენდერული ნიშნით;
- სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით, რომელსაც აქვს საკუთრების ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე;
- საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ქალებისათვის კაცების თანასწორ უფლებებს მიწის ფლობაზე და/ან კონტროლზე.

27. საქართველოს კონსტიტუცია, მ. 11.

28. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მ. 1-2.

29. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“; საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

30. ინფორმაცია მისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3ykjvdz>.

პოლიტიკის მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისთვის), რომლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იყო გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.³¹ სტრატეგიამ მოიცვა ხუთი ამოცანა:

- ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით – პოლიტიკურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- გენდერული თანასწორობის დარღვევის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;
- ქალთა ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და დახმარების მექანიზმებისა და სამართლებრივი ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის და თავშესაფრის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამჟამად საქართველოს პარლამენტს განხილვაში აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სტრატეგია, რომელიც 2022-2030 წლებს მოიცავს და რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კვლავ გენდერული თანასწორობის დაცვა წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს მთავრობის მიერ იგეგმება სამოქმედო გეგმის დამტკიცებაც, რომელიც გაწერს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის აღსრულების პროცესში, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უახლოეს წლებში გადასადგმელ ნაბიჯებს, მათ შორის, გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, საქართველოს მთავრობამ 2022 წლის ოქტომბერში დაამტკიცა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022 – 2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა³² და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022 – 2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა,³³ რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას მიემართება, თუმცა, თემატურ მიმართულებებში ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის შექმნასაც. მაგალითისთვის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის შექმნას, ხოლო ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების, როგორც ცენტრალური ხელისუფლების პარტნიორი სუბიექტების, როლს არაერთ აქტივობასთან მიმართებით, უმეტესწილად, მოსახლეობასთან შეხვედრისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

31. სტრატეგიული მიმართულება №14.

32. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის № 509 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022 – 2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

33. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის № 510 დადგენილება „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022 – 2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

4. გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენსტრიმინგის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტებში - ძირითადი ტენდენციები

4.1. გენდერული თანასწორობის საბჭოების ფუნქციონირება - ძირითადი მიღწევები და გამოწვევები

მიუხედავად საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე არსებული სტანდარტებისა, მუნიციპალიტეტების პრაქტიკაში არაერთი გამოწვევა არსებობს, რაც მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენსტრიმინგის უზრუნველყოფის მიმართულებით. კვლევამ ისეთი პრობლემების იდენტიფიცირება მოახდინა, როგორცაა, პოლიტიკის დოკუმენტების არარსებობა ან/და კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის გაუთვალისწინებლობა, ლოკალურ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოების ინსტიტუციური და ექსპერტული სისუსტე და მათი გაძლიერებისა და მხარდაჭერის საჭიროება, ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებთან თანამშრომლობის ჩარჩოს ბუნდოვანება და სხვა.⁴¹

4.1.1. გენდერული თანასწორობის საბჭოების ფუნქციონირება

გენდერული თანასწორობის საბჭო ფორმალურად ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს. ერთადერთ გამონაკლისს სენაკის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს, რომლის ტერიტორიაზე კვლევის დროისთვის მოცემული დროისათვის საბჭო არ ფუნქციონირებდა.⁴² 2022 წლის დეკემბერში, სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ფუნქციონირება განაახლა.

წლების მანძილზე მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობა მნიშვნელოვან გამოწვევებთან ასოცირდებოდა. პრობლემური იყო საბჭოების შემადგენლობა, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულობის საკითხები, სამოქმედო გეგმების არარსებობა ან, არსებობის შემთხვევაში, მათი აღსრულება, ასევე, ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებთან თანამშრომლობა.⁴³

ამასთან, როგორც არაერთი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მიუთითეს, წლების მანძილზე საბჭოს საჭიროებასა და აუცილებლობასთან დაკავშირებით არაერთი კითხვა არსებობდა და მის საქმიანობასა და ფუნქციებთან მიმართებით არასერიოზული ან/და ნიჰილისტური დამოკიდებულებები ხშირი იყო.⁴⁴

„მუშაობა რომ დავიწყეთ, თვითონ სიტყვა გენდერიც სასაცილო იყო. ახლა ეს ეტაპი გადავლახეთ, ქალის საჭიროებები ახლა გამოიკვეთა, [მიუხედავად იმისა, რომ] 2017 წლიდან დავიწყეთ საბჭოს საქმიანობა.“
ხულოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები

41. ინტერვიუ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელმძღვანელთან.

42. კვლევის განხორციელების პერიოდში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არ იყო არჩეული, რის გამოც საბჭო არ ფუნქციონირებდა.

43. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან.

44. ფოკუს-ჯგუფი ბათუმისა და ვანის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

მოქალაქეების მხრიდან განცხადებებით მომართვის შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭო თვითონ იღებს ღონისძიებებს ან შუამდგომლობით მიმართავს პასუხისმგებელ უწყებებს ან/და ორგანიზაციებს. მაგალითისთვის, თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მიუთითეს, რომ სოფლებში დამისამართების პრობლემა მათი ძალისხმევით გადაიჭრა.⁴⁵ ახმეტის, ასევე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათი ინიციატივით ადგილობრივ ბიუჯეტში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა ძალადობის მსხვერპლი ქალისათვის ფულადი დახმარების მექანიზმი. არაერთი მუნიციპალიტეტის საბჭო აღნიშნავს სამომავლო მიზნებსა და ინიციატივებს, მათ შორის, სერვისების შექმნის, ასევე, სტატისტიკის წარმოების, მიმართულებით, რომლის დასმასაც მუნიციპალიტეტის გადანყვეტილების მიმღები სუბიექტების წინაშე სამომავლოდ აპირებს.

ამასთან, კვლევის პროცესში გამოიკვეთა არაერთი სისტემური გამოწვევა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს საბჭოების საქმიანობას. ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას საბჭოს მუშაობაზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ზეგავლენა წარმოადგენს. მაგალითისთვის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების თქმით, საბჭოს წევრების შემადგენლობა არჩევნებისა და პოლიტიკური ცვლილებების დროს იცვლება, ინსტიტუციური მეხსიერების არარსებობის პირობებში, საბჭოს ახალი შემადგენლობა ახალ მიზნებს ისახავს, მაშინ, როდესაც ძველი მიზნები ჯერ კიდევ შეუსრულებელია, რაც, საბოლოო ჯამში, ქაოტურ პროცესს ქმნის. მეორე მხრივ, აბაშის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საბჭოს შემადგენლობა გასაახლებელია, თუმცა სტრუქტურულ და შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით აქტიური მუშაობა ვერ ხორციელდებოდა, რადგან კვლევის ჩატარების დროისათვის საკრებულოს თავმჯდომარე არ იყო არჩეული, ხოლო საკრებულოს დაკომპლექტების პროცესში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმასთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა ვერ მოხდა.

საბჭოს ფუნქციონირების გამოწვევებზე ისაუბრეს სხვა მუნიციპალიტეტებმაც. მაგალითისთვის,

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ საბჭოს მუშაობაში პრობლემას წარმოადგენს წევრების სამსახურებრივი მოვალეობებისგან თავისუფალი დროის დეფიციტი.
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მიუთითა, რომ მოცემული პლატფორმის ეფექტიანად მუშაობისათვის აუცილებელია მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება, რაც მხოლოდ ენთუზიაზმს ეყრდნობა და ქმნის საბჭოს მდივნის თანამდებობის ანაზღაურების აუცილებლობას.

საბჭოს ეფექტიანი მუშაობის შემაფერხებელი ფაქტორი წევრთა დიდი რაოდენობაც შეიძლება გახდეს. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტი, რომლის გენდერული თანასწორობის საბჭო 147 წევრისგან შედგება. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის პროცესში საბჭოს წევრებმა არ მიუთითეს იმ გამოწვევებზე, რაც შესაძლოა თან ახლდეს სრული შემადგენლობის მობილიზებას, ამგვარი მასშტაბის პლატფორმის ყველა წევრის ეფექტიანი ჩართულობის, მონაწილეობისა და საბჭოს მოქნილობის საკითხი მნიშვნელოვანი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად არსებითია მისი საქმიანობის ღიაობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, რაც ცალკეულ

45. ფოკუს-ჯგუფი თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

ტერიტორიულ ერთეულებში გამოწვევებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს, რომ საბჭოს საქმიანობა არ არის ღია და გამჭვირვალე, ასევე, მას არ აქვს ლოკალურ დონეზე პოლიტიკის წარმოებაზე ზეგავლენა, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.⁴⁶ გენდერული თანასწორობის საბჭოებში მონაწილეობისა და ჩართულობის გამოწვევებზე ასევე მიუთითეს ლანჩხუთის, სამტრედიის, თიანეთის, მცხეთის, აბაშის, წალენჯიხის, თეთრიწყაროს, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ქალებმაც, რომელთაც დააფიქსირეს, რომ საბჭოს შესახებ არ სმენიათ ან/და მათთან თანამშრომლობითი ურთიერთობა არასოდეს ჰქონიათ.⁴⁷

მუნიციპალიტეტების ნაწილში (ქუთაისის, ქედის, დუშეთის, ახალციხის, ხობის, ბათუმისა და ფოთის მუნიციპალიტეტები) გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ მათ შემადგენლობაში წევრებად ირიცხებიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.⁴⁸ მათი შემოყვანა საბჭოს წევრებად მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა პლატფორმის საქმიანობის უფრო ეფექტიანად განხორციელებისთვის, რადგან ამგვარი ორგანიზაციები, ერთი მხრივ, სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს უფრო ნათლად აყენებენ საბჭოს საქმიანობის დღის წესრიგში, ხოლო, მეორე მხრივ, ახორციელებენ კვლევებს, რომლის დამოუკიდებლად ჩატარების ფინანსური შესაძლებლობა საბჭოებს არ გააჩნიათ.⁴⁹ ცალკეულმა მუნიციპალიტეტებმა აღნიშნეს, რომ მათი საბჭოს შემადგენლობაში მედიის წარმომადგენელიც ირიცხება.⁵⁰

ამასთან, გარკვეულმა მუნიციპალიტეტებმა⁵¹ (ხულოს, დუშეთის, ყვარლის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, აბაშის, მცხეთის, ხაშურის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, ონის, ცაგერის, მარტვილის, ასპინძის, დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები) მიუთითეს, რომ აქვთ სხვა აქტორებთან - არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან/და მედიასთან, თანამშრომლობის სირთულეები იმდენად, რამდენადაც მუნიციპალიტეტში ისინი არ ფუნქციონირებენ ან/და მათი რაოდენობა მკვეთრად დაბალია.

4.1.2. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ძირითადი საჭიროებები

გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის უზრუნველყოფის პროცესში მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივ დონეზე მომუშავე გენდერული თანასწორობის საბჭოების საჭიროებები, სამუშაო თემატიკიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია. როგორც კვლევამ დაადასტურა, მუნიციპალური ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ექსპერტული და საკმარისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა წარმოადგენს.⁵²

არაერთი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი მიუთითებს, რომ გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების სფეროში ცოდნისა და მგრძობელობის არსებობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მათთვის.⁵³ თუმცა, კვლევის ფარგლებში, სწორედ ამ

46. ფოკუს-ჯგუფი ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

47. ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის, სამტრედიის, თიანეთის, მცხეთის, აბაშის, წალენჯიხის, თეთრიწყაროს, კასპის, ქარელის, ხაშურის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

48. ფოკუს-ჯგუფი ქუთაისის, ქედის, დუშეთის, ახალციხის, ხობის, ბათუმისა და ფოთის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

49. ფოკუს-ჯგუფი ბათუმისა და ფოთის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

50. ფოკუს-ჯგუფი სამტრედიისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

51. მაგალითად, ხულოს, დუშეთის, ყვარლის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, აბაშის, მცხეთის, ხაშურის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, ონის, ცაგერის, მარტვილის, ასპინძის, დმანისის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები.

52. შენიშვნა: ფინანსურ რესურსებთან და საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით იხ. წინამდებარე ანგარიში, თავი. 4.2.3.

53. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი ხულოს, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქობულეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

მიმართულებით გამოიკვეთა გამონვევები. კერძოდ, ცალკეული მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებმა გამოავლინეს სტერეოტიპული დამოკიდებულება არაერთ საკითხთან მიმართებით, მათ შორის, კაცებისათვის დეკრეტული შვებულებით სარგებლობის საჭიროების არარსებობასთან (ახმეტის მუნიციპალიტეტი), კაცების საბავშვო ბაღში დასაქმებასთან, ასევე, ოჯახური ძალადობის პრევენციასთან (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) მიმართებით. ამასთან გამოიკვეთა საბჭოს წევრების ინფორმირებულობის ნაკლებობა არაერთ საკითხში, მათ შორის, სექსუალური შევიწროების პრობლემასთან (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი), დაკავშირებით.

„საჯარო მოხელეებისთვის არის აუცილებელი, რომ ვისწავლოთ რაღაცეები და მენტალობა შეიცვალოს არსებული. ხუმრობის საგანი ხშირად არის, რომ ჩვენ ქართველებს არ გვესწავლება ქალების პატივისცემა. როდესაც ამბობს, რომ თამარ მეფე გვყავდა, ქართლის დედის ძეგლი გვაქვს, ჩემთვის ეს ხუმრობები იმის მანიშნებელია, რომ თანამდებობის პირი არ არის კომპეტენტური და წარმოდგენა არ აქვს გენდერულ თანასწორობაზე.“
შუახვევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

„გენდერის თემაზე ისე წაინია, რომ დღეს ძლივს გაარჩევ, ქალი რომელია და კაცი რომელი. ქალს პულტს არ წავართმევ, მაგრამ თუ მისი დაწყებული კერძი გადმოდის ქვაბიდან, კი უნდა უთხრა. ვიცი ქალის პატივისცემა - ლეკვი ლომისა სწორია.“
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

ინფორმირებულობის დაბალ მაჩვენებელზე ყურადღებას ასევე ამახვილებს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარე და მიუთითებს, რომ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს საბჭოების წევრების (განსაკუთრებით, ახალი წევრების), გაცნობიერება „საბაზისო საკითხებში“.⁵⁴

ათეა-ს წარმომადგენლის განცხადებით, მნიშვნელოვანი და საჭიროა საბჭოს წარმომადგენლების სიღრმისეული გადამზადება და უწყვეტი სწავლება.⁵⁵ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად, ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციის, ასევე, პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს ორგანიზებით თვითმმართველობის თანამშრომლებისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის ტრენინგების ჩატარება ხდება, რომელიც ამ დროისთვის არ წარმოადგენს სისტემური გადამზადების ნაწილს. ცალკეულმა საბჭოებმა ასევე მიუთითეს სახალხო დამცველის აპარატის თემატურ ელექტრონულ კურსებზე, როგორც ცოდნის გაღრმავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმზე.⁵⁶

მეორე მხრივ, საზგასასმელია, ის გამონვევები, რაზეც ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტებმა გაამახვილეს ყურადღება:

- ბაღდათის მუნიციპალიტეტმა მიუთითა, რომ გადამზადების ინიციატივები ეხება მხოლოდ მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს და არა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს;
- ლენტეხის, ცაგერის, აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მიუთითეს, რომ აქვთ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ტრენინგების საჭიროება,

54. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან.

55. ინტერვიუ ათეა-ს წარმომადგენელთან.

56. ფოკუს-ჯგუფი თელავისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

თუმცა უშუალოდ მათი გადამზადება არ მომხდარა, უმეტესწილად, რესურსების სიმწირის გამო, რაც მიუთითებს გენდერული თანასწორობის საბჭოს არა ნაწილობრივი, არამედ მთლიანი შემადგენლობის გადამზადების საჭიროებაზე;

- ბათუმისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებმა ისაუბრეს თანამშრომლების მხრიდან გადამზადებისა და ტრენინგებში მონაწილეობის სურვილის ნაკლებობაზე, თუმცა არც ერთ მათგანს არ მიუთითებია აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები, რაც, მათ შორის, ტრადიციული გენდერული როლებით, ქალების შინ შრომითა და ზრუნვითი ვალდებულებებით შეიძლება იყოს განპირობებული;
- ზესტაფონის, თიანეთისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებმა მიუთითეს, რომ უკანასკნელი ტრენინგები რამდენიმე წლის წინ, პანდემიამდე, ჩაუტარდათ;
- თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მიუთითა გადამზადების საჭიროებასა და დაფინანსების ნაწილში პარლამენტისა და თბილისის საბჭოებს შორის არსებულ გადაფარვაზე, თუმცა, საბჭოს წევრებს არ მიუძღოთავთ საპარლამენტო საბჭოსთვის გადამზადების პრობლემასთან დაკავშირებით.

გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებზე საუბრისას გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები მიუთითებენ, რომ ცალსახად მნიშვნელოვანია გადამზადების მიმღები პირების ცოდნისა და მგრძობელობის ამაღლება.⁵⁷ ცალკეული მუნიციპალიტეტების საბჭოების წევრებმა მიუთითეს, რომ თანამდებობის პირების მხრიდან გენდერულად არასენსიტიური, სექსისტური და დისკრიმინაციული გამონათქვამები მრავლადაა,⁵⁸ მათ შორის, პოლიტიკურად დაპირისპირებულ დეპუტატებს შორის.⁵⁹

აღნიშნულის პარალელურად, ცალკეული გამონაკლისების გარდა, პრაქტიკულად ყველა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში თანამდებობის პირის (რომელიც, თავის მხრივ, რელევანტური პოლიტიკის დაგეგმვასა ან/და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია) მიერ თანასწორობის წინააღმდეგ მიმართულ, მიზოგინიურ/სექსისტურ ან/და ჰომოფობიურ განცხადებებზე რეაგირების მექანიზმები არ გააჩნიათ.⁶⁰ აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა უმრავლესობამ ასევე ვერ გაიხსენა ისეთი შემთხვევები, როდესაც რეაგირების მექანიზმების გამოყენების საჭიროება გაჩენილა.

ამ მიმართულებით გამონაკლისს წარმოადგენს ქუთაისის მუნიციპალიტეტი, რომლის გენდერული თანასწორობის საბჭომაც მიუთითა ამგვარ შემთხვევებში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობაზე; ასევე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, რომლის გენდერული თანასწორობის საბჭომ მიუთითა, რომ ამგვარ სიტუაციებში საბჭო იკრიბება და ეთიკის საბჭოსთან ერთად მსჯელობს დარღვევასთან დაკავშირებით. გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ დებულებაში საბჭოს ფუნქციად მითითებულია მსგავს საკითხებზე რეაგირების მოხდენა და ამგვარ შემთხვევებში იგი რეკომენდაციით შემოიფარგლება. დამატებით, ეთიკის კოდექსსა და მის რეგულირებაზე მიუთითებს ასევე რამდენიმე სხვა მუნიციპალიტეტიც, მათ შორისაა, თბილისის, ზუგდიდის, ბაღდათისა და შუაქვეის მუნიციპალიტეტი.

57. ფოკუს-ჯგუფი თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

58. ფოკუს-ჯგუფი ლაგოდეხისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

59. ფოკუს-ჯგუფი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

60. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი სამტრედიის, დედოფლისწყაროს, ქობულეთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხულოს, თელავის, ლაგოდეხის, ყვარლის, საგარეჯოს, სიღნაღის, ახმეტისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

საინტერესო გამოცდილება აქვს ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომლის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმაც აღნიშნეს, რომ დისკრიმინაციული გამონათქვამების მიმართ საბჭო მყისიერად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას - წევრები საერთო ტექსტს სოციალურ ქსელში შექმნილ საერთო საკომუნიკაციო პლატფორმაზე ათანხმებენ და შემდგომ აქვეყნებენ.⁶¹

4.1.3. მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან

გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრინინგის მიმართულებით მუნიციპალიტეტებში არსებული არაერთგვაროვანი გამოცდილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობა ცენტრალურ დონეზე არსებულ თემატურ პლატფორმებთან. მიუხედავად ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე არსებული მექანიზმების თანამშრომლობის მნიშვნელობისა, არსებითია, რომ ორივე დონეზე ხელისუფლებამ გაიაზროს თავისი ფუნქციები და აღნიშნული თანამშრომლობა წარიმართოს არა ურთიერთდაქვემდებარებულობის, არამედ ეფექტიანი კოორდინაციის პირობებში.⁶²

როგორც კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირდა, მუნიციპალიტეტებს აქვთ გამოცდილება ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებთან:

- *პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო*

როგორც მუდმივმოქმედი პლატფორმის თავმჯდომარე აღნიშნავს, მიმდინარე წელს საბჭომ დაიწყო მუნიციპალურ საბჭოებთან კოორდინაცია და მიიღო ინფორმაცია იმ პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც ლოკალური ორგანოები დგანან.⁶³ აღნიშნული საქმიანობა ძირითადად მხოლოდ საბაზისო საჭიროებების (ძირითადად, სამოქმედო გეგმები, ბიუჯეტირებისა და სტატისტიკის მიმართულებები) დაფარვისკენ იყო მიმართული. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, მიმდინარე წელს საპარლამენტო საბჭომ აიღო დონორებთან კოორდინაციის გარკვეული დანიშნულებაც და აღნიშნული გზით მუნიციპალიტეტების საჭიროებების დაფარვა, მათ შორის, სამოქმედო გეგმების შემუშავების კუთხითაც.⁶⁴

სამომავლო კომუნიკაციისა და კოორდინაციის მიზნით, საპარლამენტო საბჭომ მუნიციპალიტეტების უმეტესობასთან განახორციელა შეხვედრა, გააცნო საპარლამენტო საბჭოს საქმიანობა და მათგან მიიღო ინფორმაცია მათ საქმიანობასთან დაკავშირებით.⁶⁵ დამატებით, მათი მონაწილეობით შეიქმნა ჯგუფი სოციალურ ქსელში, რამაც ხელი შეუწყო ინფორმაციის უფრო სწრაფად გავრცელებას საპარლამენტო და მუნიციპალურ საბჭოებს შორის.⁶⁶

მომდევნო წელს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო გეგმავს მუნიციპალურ საბჭოებთან მუდმივ კოორდინაციაში ყოფნასა და თანამშრომლობის ფორმატში ახალი საკითხების შემოტანას. საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა ორ ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელთა დაკავშირებითაც მომდევნო წელს ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა გაძლიერდება: 1. სექსუალური შევიწროების მექანიზმის მოდელის შეთავაზება, ადგილობრივ დონეზე მისი დანერგვის მიზნით; 2. ქალთა ოთახების გადმოტანა გენდერული საბჭოების დამხმარე ერთეულად.

61. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

62. ინტერვიუ ათეა-ს წარმომადგენელთან.

63. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან.

64. იქვე.

65. იქვე.

66. იქვე.

- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

როგორც მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს წარმომადგენელმა განაცხადა, ადმინისტრაციას მუნიციპალიტეტებთან ძირითადად გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში აქვს თანამშრომლობა და კომუნიკაცია.⁶⁷ თუმცა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები არ არიან ზემოაღნიშნული უწყებათაშორისი პლატფორმის წევრები და, შესაბამისად, არც ხმის უფლება აქვთ.

მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მითითებით, მუნიციპალიტეტებთან ყველაზე აქტიური თანამშრომლობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022 – 2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022 – 2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას არსებობდა, რაც, უმეტესწილად გულისხმობდა დოკუმენტების შემუშავების პროცესში, შეხვედრების ფორმატში მუნიციპალიტეტების მონაწილეობას. ამასთან, დეცენტრალიზაციის პირობებში გენდერულ პოლიტიკაზე ერთიანი სტანდარტების საჭიროების პირობებში დადგა ცენტრალურ და მუნიციპალურ მექანიზმებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2022 წლის მაისში მთავრობის ადმინისტრაციასა და ათეა-ს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობებთან.⁶⁸ მიუხედავად საჭიროებისა, მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტების რაოდენობიდან გამომდინარე, კომუნიკაციის ბარიერები არსებობს.

„ძალიან რთულია 64 მუნიციპალიტეტის შეკრება და პირისპირ საუბარი და არცაა ეფექტური. გვექონდა ადრე მცდელობა და იმდენი ვიყავით, პროდუქტიული არ გამოვიდა. ჩვენი სტრატეგიაა ის, რომ თემატურად ვეთანამშრომლოთ იმ მუნიციპალიტეტებს, რომლებიც, მაგალითად, ძალადობაზე, დევნილებზე და ა.შ. მუშაობენ და კარგი პრაქტიკები აქვთ.“
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელმძღვანელი

ადამიანის უფლებათა სამდივნოს წარმომადგენელი ასევე მიუთითებს, რომ გეგმავენ სამთავრობო სამოქმედო გეგმების შინაარსის გაცნობას მუნიციპალიტეტებისათვის, თუმცა ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტებთან სამომავლო თანამშრომლობისა და კომიტეტის საქმიანობაში ჩართვის ნაწილში მთავრობის ადმინისტრაციასა და უწყებათაშორისი კომიტეტს არ აქვს კონკრეტული, ჩამოყალიბებული ხედვა.⁶⁹

ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით საუბრობენ მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებიც. მუნიციპალიტეტები უთითებენ, რომ ცენტრალურ დონეზე არსებულ ერთ-ერთ ან ორივე მექანიზმთან აქვთ თანამშრომლობის გამოცდილება ძირითადად სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, ასევე, ტრენინგების/გადამზადების, ინფორმაციის გამოთხოვის/გაზიარების მიმართულებით.

67. ინტერვიუ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელმძღვანელთან.

68. იქვე.

69. იქვე.

აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოების მნიშვნელოვან ნაწილს გაცილებით აქტიური თანამშრომლობა პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოსთან აქვს. გარკვეული მუნიციპალიტეტების (მაგალითად, თელავის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტები) საბჭოების წევრები საერთოდ ვერ იხსენებენ მთავრობის დონეზე არსებულ პლატფორმასთან - გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან თანამშრომლობის შემთხვევებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ათეა, რომელიც მუნიციპალიტეტების ქოლგა ორგანიზაციას წარმოადგენს, მონაწილეობს უწყებათაშორისი კომისიის ფორმატში, რაც თავის მხრივ, მუნიციპალიტეტების ჩართულობასაც გულისხმობს.

4.2. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული პოლიტიკის ფორმირება მუნიციპალიტეტებში

გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის საკითხებზე მუშაობა მუნიციპალიტეტებისაგან ითხოვს ისეთი მექანიზმების შექმნას, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივ კონტექსტზე, გაითვალისწინებს მოსახლეობის წინაშე არსებულ ბარიერებს და იქნება მგრძობიარე მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებსა და გამოწვევებთან მიმართებით.

როგორც კვლევამ გამოავლინა, პოლიტიკის შემუშავების დროს მუნიციპალიტეტები სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობიან. მათი დიდი ნაწილისთვის გამოწვევას საკუთარი სრულყოფილი, სისტემური და სისტემატიური (და არა ფრაგმენტული), მრავალმხრივი და გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების სფეროში არსებულ პრობლემურ საკითხებზე ფოკუსირებული კვლევების განხორციელება და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარმოადგენს, რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის, მათ შორის, რელევანტური დოკუმენტებისა და სერვისების, შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით დაუძლეველ ბარიერს ქმნის.

მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან გასაუბრების შედეგად პოლიტიკის შემუშავების დროს ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვების შემდეგი გზები გამოიკვეთა:

- ქუთაისის, რუსთავის, ყვარლის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, ბაღდათის, ჭიათურის, ჩოხატაურის, შუახევის, ვანის, ხონის, დუშეთის, ყაზბეგის, ასპინძის, ახალციხის, ბორჯომის, კასპის, ნინოწმინდის, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ სხვადასხვა აქტორების მიერ (მათ შორის, სოციალური სამსახურების, საკრებულოს დეპუტატების, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით) ხდება მოკვლევების ჩატარება პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით;
- ქუთაისის, რუსთავის, წყალტუბოს, ოზურგეთის, შუახევის, საგარეჯოს, თერჯოლის, საჩხერის, ჭიათურის, ხულოს, ვანის, ჩოხატაურის, ხონის, დუშეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, ონის, ცაგერის, მარტვილის, წალენჯიხის, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, გარდაბნის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, მარნეულის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციას მოსახლეობასთან შეხვედრის/სოფლის კრებებში მონაწილეობის გზით იღებენ;

- თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, საჩხერის, წყალტუბოს, თერჯოლის, სიღნაღის, ტყიბულის, შუახევის, დუშეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, ასპინძისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ პრობლემების შესახებ ინფორმაციას მოსახლეობის მომართვების შედეგად იღებენ;
- საქართველოს 10 მუნიციპალიტეტი (ქედის, შუახევის, ხარაგაულის, ხაშურის, ონის, ბოლნისის, რუსთავის, ყაზბეგის, საგარეჯოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები) ჩართულია GIZ-ის მიერ მხარდაჭერილ პროექტში - „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი ძლიერი დემოკრატიისათვის“, რომელიც სხვადასხვა აქტივობებთან ერთად, ითვალისწინებს ერთიანი პორტალის (www.chemisakrebulo.ge) ფუნქციონირებას, ელექტრონულ პლატფორმაზე სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაციის განთავსებას, მოქალაქეებისათვის შესაძლებლობის მიცემას, პორტალის მეშვეობით ჩანიშნონ შეხვედრები, საჯაროდ დასვან კითხვა ან/და დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება;
- ახმეტის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით კვლევები არ განუხორციელებიათ/ ვერ ახორციელებენ.

ინფორმაციისა და სტატისტიკის არსებობის აუცილებლობასთან ერთად, კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს პოლიტიკური ნებისა და თანასწორობის საკითხების შესახებ მგრძობელობის მნიშვნელობაზე, როგორც გენდერული თანასწორობის მიმართულებით ეფექტიანი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის არსებით ელემენტზე. სამწუხაროდ, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირები ნაკლებად იაზრებენ სიღრმისეულად გენდერული თანასწორობის საკითხებს და არსებობს მათთან, ისევე როგორც უშუალო შემსრულებლებთან კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობა.⁷⁰

4.2.1. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები

გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს მექანიზმებს მუნიციპალურ დონეზე ქალთა უფლებების დაცვის, თანასწორობის განმტკიცებისა და გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველყოფის მიმართულებით.

გენდერული თანასწორობის სტრატეგია საშუალოვადიანი დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ლოკალურ დონეზე მუნიციპალიტეტებისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს. კვლევის განხორციელების დროისათვის მხოლოდ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში (ქუთაისის, ქედის, სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, საგარეჯოს, თერჯოლის, ხარაგაულის, ყაზბეგის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, დმანისისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები) იყო სტრატეგია ძალაში.

სამოქმედო გეგმებს მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ნაწილში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი გააჩნია და მოიცავს მუნიციპალიტეტის მიერ უმოკლეს ვადებში გადასადგმელი ნაბიჯების ჩამონათვალს. გენდერული თანასწორობის საბჭოებთან ფოკუს-ჯგუფების ჩატარების დროისათვის, არაერთ მუნიციპალიტეტში (სენაკის, ჩხოროწყუს, ქუთაისის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, ბაღდათის, ჭიათურის, თიანეთის, ყაზბეგის, მცხეთის, მესტიის, წალკის, თეთრიწყაროსა და ხობის მუნიციპალიტეტები) გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები არ მოქმედებდა ან/და იყო შემუშავების პროცესში. შემდგომ პერიოდებში, ცალკეული მუნიციპალიტეტების (მაგ. ქუთაისის, ლაგოდეხისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები) მხრიდან მოხდა ამგვარი დოკუმენტის დამტკიცება.

70. ინტერვიუ ათეა-ს წარმომადგენელთან.

მიუხედავად სამოქმედო გეგმების ფორმალურად არსებობისა, წლების მანძილზე პრობლემურად მათი ზოგადი და ბლანკეტური ხასიათი, მოცემული ინსტრუმენტების მიერ სხვადასხვა საჭიროების მქონე ჯგუფების მხედველობის არეალის მიღმა დატოვება, ჯვარედინი დისკრიმინაციის საკითხების გაუთვალისწინებლობა, საკმარისი ბიუჯეტის, ასევე, ადამიანური რესურსის ან/და ექსპერტიზის ნაკლებობა სახელდებოდა,⁷¹ რამაც, საბოლოო ჯამში, სამოქმედო გეგმების შესრულების პრობლემები გამოიწვია.⁷²

როგორც მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოები აღნიშნავენ, მოქმედი სამოქმედო გეგმების დაგეგმვისა და შინაარსის ნაწილში პროგრესია მიღწეული წინა წლებში არსებულ გეგმებთან შედარებით,⁷³ რაშიც, მათ შორის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ათეას თანამშრომლობით შემუშავებული „გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო“ დაეხმარათ. თუმცა, ამ მიმართულებით კვლავ არსებობს გამოწვევები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს, გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების ზოგადი ან/და შაბლონური ხასიათია.⁷⁴ მოქმედი სამოქმედო გეგმების დახვეწის აუცილებლობაზე ასევე მიუთითა ცალკეული მუნიციპალიტეტის (მაგ., ფოთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები) გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა.

მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმებში გვხვდება ამოცანების, აქტივობების, მათი შესრულების ინდიკატორების მეტნაკლებად ნათელი მაჩვენებლები და დოკუმენტები მოიცავენ მუნიციპალიტეტების ვალდებულებას ცნობიერების ამაღლების, კვლევების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირების, ასევე, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სერვისების განხორციელების თვალსაზრისით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია პოლიტიკის დოკუმენტების მიერ არაერთი მიმართულებისა და ჯგუფის დაფარვა, სამოქმედო გეგმის მოქმედების მცირე ვადიდან გამომდინარე, იგი უნდა იყოს რეალისტური და მოქნილი. ამ ნაწილში პრობლემურია ასპინძის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმა (2021-2022წწ), რომელიც 2 წლის განმავლობაში არაერთი მიმართულებით 103 აქტივობის შესრულებას ითვალისწინებს.

კვლევამ დაადგინა, რომ სამოქმედო გეგმების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას მათი შინაარსის კვლევების შედეგებზე დაუფუძნებლობა წარმოადგენს, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მტკიცებულებებზე დაუფუძნებული პოლიტიკის წარმოების ერთ-ერთ მთავარ ბარიერს ქმნის. ადგილობრივ საჭიროებებსა და კონტექსტებზე ნაკლები მორგების მაგალითია ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმები, რომელთა შინაარსი, 1 აქტივობის გამოკლებით, ერთმანეთის იდენტურია.

მეორე მხრივ, სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში გამოიკვეთა კარგი პრაქტიკა, რაც დანარჩენი მუნიციპალიტეტებისთვისაც უნდა გახდეს ყურადღების საგანი. კერძოდ, საუ-

71. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება: სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, 2020; ინტერვიუ ათეა-ს წარმომადგენელთან.

72. მაგალითად, ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრებმა მიუთითეს, რომ წინა წლების გეგმით გათვალისწინებული 135 პუნქტიდან 35 შეუსრულებელი დარჩა; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ წინა წლების გეგმა ფაქტობრივად ვერ შესრულდა და მხოლოდ ფურცელზე დარჩა; სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრებმა მიუთითეს, რომ მიუხედავად სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი შინაარსისა, მისი რეალურად განხორციელება არ მომხდარა

73. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი ქუთაისის, ხონის, ქედის, ვანის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ჩოხატაურის, საჩხერის, სამტრედიის, მარტვილის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულისა და გორის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

74. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან.

ბარია სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესისა და შინაარსის წინასწარი კვლევის შედეგებზე დაფუძნებაზე. გარკვეულ მუნიციპალიტეტებში (მაგ., ზუგდიდის, დუშეთისა და ხობის მუნიციპალიტეტები) სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს წინ უძღოდა საკონსულტაციო ჯგუფების შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის/ორგანიზაციების, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საჯარო უწყებების წარმომადგენლები და შშმ პირთა საბჭოსა და ახალგაზრდული საბჭოს წევრები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სწორედ მათთან შეხვედრის შემდგომ მოხდა სამოქმედო გეგმის შემუშავება.⁷⁵

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რაც სამოქმედო გეგმებისა და სხვა პოლიტიკის დოკუმენტების იმპლემენტაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია, *შეფასებისა და მონიტორინგის ეტაპია*. სწორედ აღნიშნული პროცესი წარმოადგენს პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების ეფექტიანობის იდენტიფიცირების მექანიზმს, რომელსაც მუნიციპალიტეტების შემდგომი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილს⁷⁶ ამ დრომდე არ განუხორციელებია გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შეფასება/ანალიზი, უმეტესწილად ამ მიმართულებით რელევანტური ფორმალური მექანიზმის არარსებობის გამო.

ხაზგასასმელია, რომ მუნიციპალიტეტების ახალ სამოქმედო გეგმებში მათი განხორციელების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის დანერგვაზეცაა საუბარი, რაც, შესრულების შემთხვევაში, არსებული პოლიტიკის შეფასებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების მიმართულებით მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

4.2.2. სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება წარმოადგენს. სწორედ ამგვარი მონაცემები იძლევა ლოკალურ დონეზე არსებული საჭიროებების გამოვლენისა და მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული ღონისძიებების მთელ რიგ ჯგუფებზე ზეგავლენის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. სამწუხაროდ, მიუხედავად საჭიროებისა, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება წარმოება არ ხდება.⁷⁷ მეორე მხრივ, ცალკეული მუნიციპალიტეტები მიუთითებენ სხვადასხვა სფეროში სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვებაზე, რომელსაც მერიის სამსახური ან/და გენდერული თანასწორობის საბჭო ახორციელებს.⁷⁸ ამ მხრივ პოზიტიურად ხაზგასასმელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საქმიანობა, რომელიც პრაქტიკულად ყველა მიმართულებით ამუშავებს სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვებას.⁷⁹

75. ინტერვიუ ათეა-ს წარმომადგენელთან.

76. ლაგოდეხის, რუსთავის, საგარეჯოს, ახმეტის, ოზურგეთის, თელავის, დუშეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, ცაგერის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ფოთის, წალენჯიხის, ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის, გარდაბნის, დმანისის, წალკის, გორის, კასპის, თეთრიწყაროსა და ხობის მუნიციპალიტეტებში.

77. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, რუსთავის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, ხულოს, ქედის, ქობულეთის, შუახევის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, ახმეტის, ბაღდათის, ტყიბულის, თიანეთის, დუშეთის, ლენტეხის, ჩხოროწყუს, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის, გარდაბნის, თეთრიწყაროსა და ხაშურის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

78. ფოკუს-ჯგუფი თბილისის, გურჯაანის, ხონის, ყაზბეგის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, წალკის, ცაგერის, ვანის, აბაშის, წალენჯიხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

79. ინტერვიუ ათეა-ს წარმომადგენელთან.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული მუნიციპალიტეტების (*ობურგეთის, ფოთის, მცხეთის, მარნეულის, ახმეტის, თერჯოლისა და საჩხერის*⁸⁰ მუნიციპალიტეტები) გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არ იყვნენ ინფორმირებული/სრულად ინფორმირებული, თუ რამდენად ახორციელებდა მუნიციპალიტეტი ამგვარი სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცალკეული მუნიციპალიტეტები უთითებენ, რომ სტატისტიკური მონაცემების არარსებობის პირობებში საჭიროებების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან მერის ან მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლის შეხვედრებისას გროვდება, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივების საჭიროებების შესახებ მონაცემების იდენტიფიცირებისათვის, თუმცა არ შეიძლება ჩაითვალოს სტატისტიკის წარმოების ფორმალურ მექანიზმად.

ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც ამ მიმართულებით არსებობს, სფეროში მუნიციპალიტეტების თანამშრომლების ინფორმირებულობისა და ცოდნის დაბალი ხარისხია. არაერთი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა მიუთითა მონაცემების შეგროვების მიმართულებით გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობაზე.⁸¹ ცოდნასა და ინფორმირებულობასთან ერთად, მუნიციპალიტეტებში (მაგალითად, ქედის, ხულოს, ჭიათურის მუნიციპალიტეტები) ასევე პრობლემურია მონაცემების დამუშავების სფეროში მომუშავე სპეციალისტების ნაკლებობა ან/და მერიაში ამ მიმართულებით პასუხისმგებელი სპეციალური სტრუქტურული ერთეულის/მოხელის არარსებობა.


4.2.3. ბიუჯეტების საკითხი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით არსებობს, მისი განხორციელებისთვის არასაკმარისი ბიუჯეტია. როგორც პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარე მიუთითებს, უშუალოდ გენდერულ თანასწორობაზე ბიუჯეტი მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტს აქვს გამოყოფილი და მთელი წლის მუშაობა დასჭირდა ადგილობრივ დონეზე ფინანსური რესურსების გაჩენას. საბოლოო ჯამში, მუნიციპალიტეტებს ფინანსთა სამინისტროდან მიეწოდათ სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები/გაიდლაინი, რის შედეგადაც პარლამენტის საბჭო იმედოვნებს, რომ მომავალ წელს გაცილებით მეტ მუნიციპალიტეტს ექნება ბიუჯეტი გამოყოფილი. პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ამყარებს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ანალიზისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგები. კერძოდ, როგორც გამოიკვეთა, გენდერული თანასწორობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდის აქტივობები მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სხვადასხვა პროგრამაშია ინტეგრირებული, ხოლო უშუალოდ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელება ან/და გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის უზრუნველყოფა, როგორც დამოუკიდებელი პროგრამა, მხოლოდ რამდენიმე მათგანშია გაწერილი.

80. შენიშვნა: საჩხერისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში სტატისტიკის შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი იყო შვებულებაში, ხოლო ფოკუს-ჯგუფში მონაწილე პირებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მისი საქმიანობის სპეციფიკის შესახებ.

81. ფოკუს-ჯგუფი ჩოხატაურის, ქედისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

ცხრილი N 1. გენდერული თანასწორობის/გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამაზე მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი 2022 წლის ბიუჯეტი (ლარი)



ამასთან, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფაქტობრივ ბიუჯეტს 3 000 ლარი წარმოადგენს, რომელსაც საბჭო, დამოუკიდებელი საბიუჯეტო კოდის არარსებობის გამო საერთო ბიუჯეტიდან ითვისებს, ძირითადად ტრენინგებისთვის, ასევე, სკრინინგ პროგრამებში ჩართვისთვის მოქალაქეთა ტრანსპორტირებისათვის.⁸² ასპინძის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ 3 000 ლარი არის გამოყოფილი (თუმცა, არა დამოუკიდებელი პროგრამის სახით) გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისათვის.⁸³ ამგვარი მიზნებით გამოყოფილ ფინანსურ რესურსზე (5 000 ლარის ოდენობით) ისაუბრეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებმაც.⁸⁴

ბიუჯეტთან დაკავშირებით დამატებით ხაზგასასმელია საგარეჯოსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებიც. კერძოდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს ზოგადი პროგრამის - „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა“ - ქვეშ მოიაზრებს. მეორე მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებობს „გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერების პროგრამა“, რომლის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა 230 000 ლარის ტოლი იყო (შენიშვნა: საბიუჯეტო წლის ბოლოსთვის - 2022 წლის 23 დეკემბრისთვის, პროგრამის დაფინანსება დაკორექტირდა და 112 000 ლარით განისაზღვრა). პროგრამა სხვადასხვა მიმართულებით არაერთ აქტივობას მოიცავს, მათ შორის, „ქალთა ოთახის“ დაფინანსებას, ასევე, ღონისძიებებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვანი ნაწილის ბიუჯეტი გენდერულ საკითხებსა და ქალთა გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიმართულებებს სრულიად უგულებელყოფს, რაც მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის მოცემულ ჯგუფზე ორიენტირებული პროგრამებისა და ინიციატივების განხორციელების მიმართულებით. იმავეს უსვამენ ხაზს მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებიც, რომლებიც მიუთითებენ, რომ მათი ბიუჯეტები ამ დრომდე არ არის

82. ფოკუს-ჯგუფი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.
 83. ფოკუს-ჯგუფი ასპინძის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.
 84. ფოკუს-ჯგუფი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

გენდერულად მგრძობიარე და ნაკლებად ითვალისწინებს ქალთა წინაშე არსებულ გამოწვევებს. გენდერული ბიუჯეტირების კუთხით ინფორმაციის ვაკუუმის პირობებში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გადამზადებაზე პასუხისმგებლობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, აიღო.⁸⁵ გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირების შესახებ მასშტაბური ტრენინგების სერია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა გაიარა - ჯამში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების 143 წარმომადგენელი გადამზადდა.⁸⁶

**„ეს გენდერული ბიუჯეტირება ყოფილა ყველას ბიუჯეტირება, სხვა არაფერი.“
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის
საბჭოს წევრი**

მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების განცხადებით, მხოლოდ ერთი ტრენინგი საკმარისი არ არის და აუცილებელია დამატებითი გადამზადება, ასევე, არსებითია, მსგავს ტრენინგებში მონაწილეობა მიიღონ გადანაცვლებების მიმდებარე პირებმა, ასევე, იმ თანამშრომლებმა, რომლებიც უშუალოდ საფინანსო სამსახურში არ მუშაობენ, თუმცა ჩართულნი არიან ბიუჯეტირების პროცესში.⁸⁷

საბოლოო ჯამში, იკვეთება, რომ ინფორმირებულობასა და კვალიფიციურ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული გამოწვევებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტების უმეტესობას კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემები გააჩნია გენდერული ბიუჯეტირების მიმართულებით. გარკვეული მუნიციპალიტეტების⁸⁸ გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ტრენინგების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენება უჭირთ. გადამზადების საჭიროებას დამატებით გამოწვევად პროგრამების შემუშავებამდე აუცილებელი ინფორმაციის შეგროვების პრაქტიკების არაერთგვაროვნება და არაფორმალურობა ერთვის თან, რაც ლოკალურ დონეზე გენდერული ბიუჯეტირების დანერგვას დამატებით უშლის ხელს.

4.2.4. კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაზე

COVID-19-ის პანდემიამ მუნიციპალიტეტებისთვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ნაწილში მნიშვნელოვანი გამოწვევები შექმნა. ერთი მხრივ, მან გამოიწვია არაერთი მნიშვნელოვანი სერვისის/პროგრამის მოქმედების შეჩერება ან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა,⁸⁹ ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივ ხელისუფლებას პრობლემები შეუქმნა მოსახლეობასთან, მათ შორის, ქალებთან, კომუნიკაციაში.

პანდემიამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობაზეც.⁹⁰ მათი თქმით, პანდემიამ გენდერული თანასწორობის სამოქმედო

85. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან.

86. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „საჯარო მოხელეები გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირების შესახებ ცოდნას იღრმავებენ“, 15.07.2022, <https://bit.ly/3WwNDfl>.

87. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, ჩოხატაურის, შუახევის, ხულოს, ქობულეთის, სიღნაღის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ტყიბულის, ონის, ახალციხის, გარდაბნის, ხობის, დედოფლისწყაროსა და ქედის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

88. მაგალითად, თელავის, ლაგოდეხის, სიღნაღის მუნიციპალიტეტები.

89. შენიშვნა: თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულმა საბჭომ მიუთითა, რომ ცალკეული სერვისები კვლავ დისტანციურად განაგრძობს განხორციელებას და სერვისებში ჩართვის პროცედურების გამარტივდა.

90. ფოკუს-ჯგუფი ქუთაისის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, საგარეჯოს, ჩოხატაურის, შუახევის, ქობულეთის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ბაღდათის, ვანის, თერჯოლის, საჩხერის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის, დუშეთის,

გეგმის შესრულებაზე უარყოფითად იმოქმედა, თუმცა ონლაინ პლატფორმების დახმარებით მუნიციპალიტეტები კვლავ ცდილობდნენ მუშაობას და აქტივობების განხორციელებას. ზუგდიდის, ქედისა და ხონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოებმა მიუთითეს, რომ ამ პერიოდში ქალებს ცხელი ხაზის/ტელეფონის მეშვეობით მიეწოდებოდათ ინფორმაცია მათთვის რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით.

ხაზგასასმელია, რომ მუნიციპალიტეტებმა უმეტესწილად არ ისაუბრეს პანდემიის დროს მიღებული ღონისძიებების გატარებისას/პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევისას გენდერულად მგრძობიარე მიდგომების გამოყენების ლოკალურ პრაქტიკებზე. მთავარი საკითხი, რაზეც არაერთმა მუნიციპალიტეტმა⁹¹ მიუთითა, მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ნივთების, სასურსათო კალათების ან/და მედიკამენტების დარიგების ღონისძიებები იყო.

საყურადღებოა, რომ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოებმა ასევე არ ისაუბრეს პანდემიისა და ქალთა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე, მათ შესაძლო როლზე მოცემულ პერიოდში.

***„ონლაინ ხომ ვერ მოვუწოდებდით მოძალადეებს, არ ეძალადათ? ვერ შევძელით შეხვედრები.“
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გენდერის საბჭოს წევრი***

მეორე მხრივ:

- შუახევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ შსს-დან გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია ძალადობის შესახებ. ინფორმაციის მიხედვით, პანდემიის დროს ამ ნაწილში მიმართვიანობა გაიზარდა, თუმცა მიუხედავად მონაცემებისა, რაიმე ტიპის ღონისძიების დაგეგმვა საბჭოს მხრიდან არ მომხდარა. ოჯახური ძალადობის მაჩვენებლების ზრდაზე ასევე ისაუბრეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებმაც, თუმცა ასევე არ მოუყვანიათ მათი რეაგირების რაიმე მაგალითი.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ასევე გამოითხოვა ძალადობის მსხვერპლთა შესახებ სტატისტიკა, რაც პანდემიამდე არსებულ მაჩვენებლებზე დაბალი აღმოჩნდა. ამ მონაცემებით საბჭოს წევრები ასაბუთებენ ძალადობის შემთხვევების კლებას, თუმცა არ უშვებენ იმას, რომ შესაძლებელია მაჩვენებლების კლება ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების სირთულეებს გამოენჯია. შემთხვევების შემცირების, როგორც საგულისხმო ტენდენციის, შესახებ ასევე ისაუბრეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმაც, თუმცა, მათი მხრიდან არ იკვეთება რაიმე ტიპის რეაგირება ამ მიმართულებით;

მარნეულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მიუთითა, რომ პანდემიის კრიზისის დაძლევის პროცესში, მათი ინიციატივით დაიწყო ქალთა მიმართ ძალადობის სანინაალ-მდეგო კამპანია.

ყაზბეგის, მესტიის, აბაშის, მარტვილის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ნინოწმინდის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, გორისა და ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან.

91. მაგალითად, ზუგდიდის, ქუთაისის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ქედის, ხულოს, შუახევის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, ხარაგაულის, წყალტუბოს, ხონის, ამბროლაურის, მესტიის, ცაგერის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, წალკის, კასპის, ბოლნისის, გორის, ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტები.

4.3. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა მუნიციპალურ დონეზე და მხარ- დამჭერი მექანიზმების მიმოხილვა

გენდერული თანასწორობის სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებთან ერთად, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს ქალთა მხარდამჭერი მექანიზმების არსებობა წარმოადგენს, რომელიც თავის თავში უნდა მოიცავდეს სოციალური დაცვის, ეკონომიკური გაძლიერების, ჯანმრთელობის სერვისებზე, ინფრასტრუქტურაზე წვდომის უზრუნველყოფას, ძალადობისგან დაცვასა და ძალადობაგამოვლილი ქალის სათანადო მხარდაჭერას, მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების საჭიროებების გამოკვეთასა და ასახვას შესაბამის სერვისებსა და მომსახურებებში.

ადგილობრივ დონეზე ქალთა და კაცთა საჭიროებები ერთმანეთისგან განსხვავდება. როგორც მუნიციპალიტეტები მიუთითებენ, აღნიშნულის დამადასტურებელ საბუთს სოფლის კრებების დროს ქალებისა და კაცების მიერ დაყენებული ინიციატივებს შორის შინაარსობრივი სხვაობაც წარმოადგენს.⁹² კერძოდ, ქალების მიერ დაყენებულ საკითხებს შორის სჭარბობს ბავშვთა მოვლის სერვისების ჩამოყალიბება/გაფართოება, სოციალური პაკეტების არსებობა, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი გზის, ასევე, წყლის უზრუნველყოფის მოწესრიგება.⁹³ მიუხედავად ზემოთქმულისა, აღსანიშნავია, რომ ცალკეული მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები ვერ ხედავენ განსხვავებას ქალთა და კაცთა საჭიროებებს შორის ან უჭირთ აღნიშნული საკითხის ირგვლივ მსჯელობა.⁹⁴

როგორც პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, მუნიციპალიტეტების ქალებზე მიმართული სერვისების ბიუჯეტები პრაქტიკულად ამოწურულია,⁹⁵ რაც შესაძლოა ორ ტენდენციაზე მიუთითებდეს: 1. ბიუჯეტში არ არის სერვისების განხორციელებისათვის საჭირო თანხები; 2. მოსახლეობას აქვს ინფორმაცია მუნიციპალურ დონეზე არსებული მომსახურებების შესახებ და აქტიურად იყენებს მათ.⁹⁶ კვლევამ აჩვენა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ქალების უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია მათ მხარდამჭერ სერვისებთან, მათ შორის, იმ მომსახურებებთან დაკავშირებით, რასაც მათ მუნიციპალიტეტი სთავაზობს. ინფორმირებულობასთან ერთად საერთო პრობლემას წარმოადგენს სერვისების მდგრადობა, რომელიც ერთჯერადი ფულადი გასაცემლების მიღმა უნდა განვითარდეს და მომსახურებების მოსახლეობის საჭიროებებზე მოურგებლობა, რომელიც, როგორც წესი, კვლევების ნაკლებობით არის გამოწვეული.

კიდევ ერთი პრობლემა, რაზეც ყურადღება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ქალებმა გაამახვილეს, სერვისის მიღების დროს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ მათთან არასათანადო კომუნიკაციაა.

92. ფოკუს-ჯგუფი ვანის, თელავის, წყალტუბოს, ლაგოდეხის, ბაღდათის, სამტრედიის, ხულოს, მცხეთის, ონის, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

93. ფოკუს-ჯგუფი თბილისის, წყალტუბოს, ლაგოდეხის, ხულოს, სიღნაღის, გურჯაანის, ბაღდათის, ვანის, მცხეთისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

94. მაგალითად, ყვარლის, ახმეტის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, აბაშის, ხობის მუნიციპალიტეტები.

95. შენიშვნა: 2022 წლის 26 ოქტომბრის (ინტერვიუს ჩატარების თარიღის) მდგომარეობით.

96. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან.

*„მესამე შვილი რომ შემეძინა, ძალიან მანვალეს, ჩემი მეუღლე ზესტაფონელია და სანამ იქიდან ცნობა არ მოვიტანე, რომ დახმარება არ ამიღია, მანამდე აქ არ მომცეს. მესმის, ეს მათი რაღაც შიდა წესია. ამასობაში ჩემს დას შეეძინა მეოთხე შვილი და რომ მოვიტანე საბუთები იცით რა მითხრეს? - „შენ ვერ გაძეხი და ახლა შენი და მოიყვანეო?“
ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალი*

4.3.1 ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური დაცვა

ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის არსებითია ერთი მხრივ, ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების დანერგვა და მათი გრძელვადიანობის უზრუნველყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტების მიერ კოორდინირებულად ადგილობრივ დონეზე არსებული მექანიზმების შესახებ ქალების ინფორმირებულობის ზრდა.⁹⁷

კვლევის პროცესმა აჩვენა, რომ ამ მიმართულებით ქალთა ძირითად საჭიროებას დასაქმება წარმოადგენს. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები ასევე აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა.⁹⁸ აღნიშნული გამოწვევების პარალელურად, ქალთა სოციალურ დაცვასა და ეკონომიკურ გაძლიერებისკენ მიმართული სერვისები თავის თავში ძირითადად მხოლოდ ფულად დახმარებას მოიცავს, რომელიც ერთჯერადი ხასიათისაა და არ არის მდგრადი, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ქალთა რეალურ გაძლიერებას.

*„მუნიციპალიტეტი სიღარიბის აღმოფხვრის თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს აკეთებს და გააკეთებს, ისევ ჩვენ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს.“
სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალი*

დასაქმების და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შეუძლებლობის გათვალისწინებით, არაერთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს მიგრაციის ტენდენციასა და მიგრაციის ფემინიზაციის პრაქტიკაზე, როგორც უკვე ფართოდ გამოყენებულ უკიდურეს გამოსავალზე.⁹⁹

მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტებმა, ასევე კვლევაში მონაწილე ქალებმა დაასახელეს ქალების მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმები პროექტების წერაში ხელშეწყობის, ეკონომიკური საქმიანობისთვის ფართის დათმობის, გზისა და ტრანსპორტის მოწესრიგების, პროექტების/ბიზნეს იდეების დაფინანსების, მიმართულებით.¹⁰⁰ კვლევის ფარგლებში ასევე დაიდენტიფიცირდა ცალკეულ მუნიციპალიტეტში ოჯახების გრძელვადიანი მხარდაჭერის პროგრამების არსებობა, როგორცაა, მენარმეობის მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობის ტექნიკისა და სამუშაო იარაღების

97. ინტერვიუ ათეა-ს წარმომადგენელთან.

98. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, ქობულეთის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, წალკის, ბოლნისისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

99. ფოკუს-ჯგუფი შუახევის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ტყიბულის, საჩხერის, ქუთაისის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, დუშეთის, ლენტეხის, ხობის, წალენჯიხის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, გარდაბნის, მარნეულის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან

100. მაგ., ქუთაისის, თერჯოლის, წყალტუბოს, საჩხერის, ბაღდათის, ხარაგაულის, ხონის, დუშეთის, მუნიციპალიტეტები; ფოკუს-ჯგუფი ქედისა და საჩხერის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის N 20 დადგენილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N 9 დადგენილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N 26 დადგენილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

შესყიდვა, სასათბურე მეურნეობის მხარდაჭერა, შინაური ფრინველებისა და ცხოველების შეძენა.¹⁰¹ რაც შეეხება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ნაწილში არსებულ ძირითად ბარიერებს, კვლევის პროცესში ამ სფეროში გამოწვევები რამდენიმე მსხვილი მიმართულებით გამოიკვეთა:

- ქალთა საოჯახო შრომა

საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა შინ შრომა და ზრუნვასთან დაკავშირებული შრომა დაასახელეს, როგორც ფორმალურ შრომით ბაზარზე წვდომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი.¹⁰² კაცებზე ზრუნვის ტვირთის ნაკლები გადანაწილებისა და ცენტრალურ თუ მუნიციპალურ დონეზე ზრუნვისა თუ მხარდაჭერითი სერვისების ნაკლებობის/არარსებობის პირობებში, დასაქმების მიმართულებით ქალები მნიშვნელოვანი ბარიერების წინაშე დგებიან. ზემოაღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავე ხდება იმ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისათვის, სადაც წყლის მომარაგების სისტემები და ინფრასტრუქტურა (მათ შორის, საგზაო ინფრასტრუქტურა) მოუწესრიგებელია, ვინაიდან ეს კიდევ უფრო ამძიმებს მათზე არსებულ ისედაც მძიმე ტვირთს.¹⁰³

შინ შრომისა და ზრუნვასთან დაკავშირებული შრომის ტვირთი ასევე აღსანიშნავია მრავალშვილიან ან/და მართხელა დედებთან, ასევე, შშმ ბავშვების მშობლებთან მიმართებით. როგორც ქალებმა აღნიშნეს, მათი სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობა დიდია, ხოლო მხარდაჭერი სერვისები არ არსებობს ან მწირია. ამ ვითარებაში მათ უჭირთ რაიმე ტიპის სამსახურში დასაქმება, რაც მათ სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.¹⁰⁴

ზემოთ დასახელებული ბარიერების პარალელურად, ქალები მიუთითებენ, რომ შინამეურნეობებში ჯერ კიდევ არსებობს სტერეოტიპული დამოკიდებულება ქალების დასაქმებასთან დაკავშირებით, მათ შორის, მეუღლეების მხრიდან, რაც მათ შრომით ბაზარზე ჩართვას მნიშვნელოვნად აფერხებს.¹⁰⁵ ქალების ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადრეულ ასაკში ქორწინებაც, რაზეც ცალკეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები ჯერ კიდევ საუბრობენ.¹⁰⁶

- ენობრივი ბარიერები

ენობრივი ბარიერი ეთნიკური უმცირესობის მქონე ქალებისათვის დასაქმების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს, რის საპირწონედაც არ დგას სახელმწიფოს ეფექტიანი პო-

101. ფოკუს-ჯგუფი ბაღდათის, ხონის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოს წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 4-7 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 დეკემბრის N 17 დადგენილება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N 27 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N 10 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

102. ფოკუს-ჯგუფი ზუგდიდის, ხულოსა და სენაკის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

103. ფოკუს-ჯგუფი ხულოს, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ბაღდათის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, მცხეთის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, ცაგერის, ზუგდიდის, აბაშის, ჩხოროწყუს, სენაკის, ხობის, წალენჯიხის, ფოთის, დმანისის, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

104. ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის, შუახევისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

105. ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის, გურჯაანის, მესტიის, ონისა და გორის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

106. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი კასპის, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან

ლიტიკა, მათ შორის, სახელმწიფო ენის სწავლებაზე ამ ადამიანების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით.¹⁰⁷

კიდევ ერთი გამოწვევა, რაც კვლევის პროცესში ენობრივ ბარიერთან მიმართებით დაიდენტიფიცირდა, ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში ჩართვის შეუძლებლობაა. მაგალითისთვის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს, რომ „ანარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მოცემული ტერიტორიული ერთეულიდან არაერთ ქალს ჰქონდა განცხადება წარდგენილი, თუმცა სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ისინი ბარიერების წინაშე აღმოჩნდნენ და პროგრამაში ვერ მოახერხეს ჩართვა.

- *ქალთა პროფესიული მომზადება და გადამზადება*

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალების წინაშე არსებულ ბარიერს შინ შრომა და ზრუნვასთან დაკავშირებული შრომა წარმოადგენს, რაც, სხვა გამოწვევებთან ერთად, მათი პროფესიული გადამზადებისათვის საჭირო დროითი რესურსების სიმწირეს იწვევს. ზრუნვის ინტენსივობისა და მხარდამჭერი მექანიზმების სიმწირის პირობებში, ამ მიმართულებით განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე მრავალშვილიანი ქალები ან/და მართლაც მშობლები დგანან.¹⁰⁸ კვლევისას ასევე, გამოიკვეთა პროფესიული გადამზადების დაწესებულებების არარსებობის, მათთან გეოგრაფიული წვდომის ან/და ამ ნაწილში ტრანსპორტირების სისტემის გაუმართაობის პრობლემა, როგორც ქალების წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი.¹⁰⁹

საინტერესო პროფესიების ნაკლებობის შესახებ ყურადღება გაამახვილეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა, რაც გულისხმობს იმას, რომ მიუხედავად პროფესიული სასწავლებლების მისაწვდომობისა, არჩევანის სიმწირე მათ ხელს უშლის, ჩაერთონ განათლების პროცესში.¹¹⁰ კიდევ ერთი გამოწვევა, რაც ამ მიმართულებით არსებობს, სწავლების ხარისხი და, აქედან გამომდინარე, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების პრობლემებია.¹¹¹

პროფესიულ განათლებაზე წვდომის სირთულეებზე გაამახვილეს ყურადღება ქიათურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ცალკეულმა წევრებმაც. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში „ჯორჯიან მანგანების“ დაფინანსებით ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი. მოცემულ სასწავლებელსა და სასწავლო პროგრამებზე საუბრისას საბჭოს წევრების მსჯელობისას სტერეოტიპული განწყობები დაფიქსირდა - ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ სასწავლებელში ძირითადად „ტექნიკური საგნები“ ისწავლება, რის გამოც ქალები აქტიურად არ არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, ხოლო საბჭოს წევრების ნაწილი აღნიშნავდა, რომ აღნიშნული სასწავლებელი ქალებისთვის მორგებულია, რადგან „ასწავლიან მცენარეების (მაგ. ვარდების) მოყვანა/მოვლას“, მეფუტკრეობას და სხვა.

- *ბავშვთა სააღმზრდელო სერვისების ნაკლებობა*

107. ფოკუს-ჯგუფი გარდაბნისა და გორის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

108. ფოკუს-ჯგუფი აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

109. ფოკუს-ჯგუფი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის, შუახევის, ხულოს, ვანის, თერჯოლის, სამტრედიის, მცხეთის, ლენტეხის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ჩხორწყის, ახალქალაქის, ახალციხის, დმანისის, წალკისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

110. ფოკუს-ჯგუფი შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

111. ფოკუს-ჯგუფი ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

არაერთ მუნიციპალიტეტში¹¹² დაფიქსირდა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების არასაკმარისობა, რაც ხელს უშლის ქალთა ეკონომიკურ გააქტიურებასა და გაძლიერებას. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საბავშვო ბაღების მისაწვდომობა მცირეკონტინგენტიან სოფლებში. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ქალებმა ასევე მიუთითეს ტრანსპორტირების პრობლემაზე, როგორც სკოლამდელ სააღმზრდელო პროცესში ჩართვის ბარიერზე.¹¹³

საბავშვო ბაღებზე ზოგადი მისაწვდომობის პრობლემების პარალელურად, იკვეთება საბავშვო ბაღებში კვების არარსებობის,¹¹⁴ ასევე, 2 წლამდე ბავშვების მოვლის სერვისისა და ე.წ. საზაფხულო მორიგე ბაღებზე წვდომის არარსებობის საკითხიც, რაც ქალთა შინ შრომის ტვირთს ერთიორად ზრდის.¹¹⁵

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სერვისის არსებობა, დიდი ალბათობით, არ ნიშნავს ქალის დასაქმების ნაწილში ხელშეშლის არარსებობას. ამ მიმართულებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საჯარო საბავშვო ბაღების დასრულების საათები ემთხვევა სამუშაო საათებს, რასთან დაკავშირებითაც ქალები სხვადასხვა გამონწვევების წინაშე დგებიან.¹¹⁶

- ქალთა შეზღუდული წვდომა მინაზე

კიდევ ერთი გამონწვევა, რაც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ერთ-ერთ ბარიერად დაფიქსირდა, ქალების მინაზე შეზღუდული წვდომა და საკუთრების/თანასაკუთრების არარსებობაა, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, მათ ხელს უშლის სახელმწიფოს ინიციატივით არსებულ მთელ რიგ პროგრამებში (მათ შორის, ქალ მენარმეთა გაძლიერებისკენ მიმართული ინიციატივაში) ჩართვაში ან/და კრედიტზე წვდომაში.¹¹⁷

საზოგადოებაში ჯერ კიდევ კარგად გამჭადარი დისკრიმინაციული პრაქტიკების პარალელურად მინაზე ქალთა წვდომის კიდევ ერთ ბარიერს ფინანსური ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. კვლევაში მონაწილე ცალკეულმა ქალებმა მიუთითეს, რომ ქონების რეგისტრაციის საფასური მაღალია, რის გამოც მათ ამ სერვისზე ხელი არ მიუწვდებათ და ვერ ახდენენ მის დარეგისტრირებას.¹¹⁸

- ტრანსპორტის, მობილობისა და ინფრასტრუქტურის საკითხები

არაერთ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის გაუმართაობა ან/და ტრანსპორტზე მისაწვდომობის პრობლემები მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა ეკონომიკურ აქტივობას. ერთ-ერთ მთავარ საჭიროებას გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობა, ასევე, გზის კეთილმოწყობა წარმოადგენს, რაც მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილში დაკმაყოფილებული არ

112. მაგალითად, ქობულეთის, შუახევის, ჩოხატაურის, ხულოს, გურჯაანის, ასპინძის, ახალციხის, ბორჯომის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, ხაშურის, მუნიციპალიტეტები.

113. ფოკუს-ჯგუფი ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

114. ფოკუს-ჯგუფი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

115. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი ბაღდათის, ხონის, წყალტუბოს, ვანის, საჩხერისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი ბაღდათის, ხონის, ქუთაისისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

116. ფოკუს-ჯგუფი ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

117. ფოკუს-ჯგუფი ახმეტის, ქობულეთის, შუახევის, ამბროლაურის, ხულოს, რუსთავის, ონისა და ქედის გენდერული საბჭოების წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, ქობულეთის, ქედის, შუახევის, ხულოს, ჩოხატაურის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ტყიბულის, ხონის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, დუშეთის, თიანეთის, ამბროლაურის, აბაშის, ადიგენისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

118. ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

არის.¹¹⁹ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს, რომ ტრანსპორტირებისა და გზის საკითხი ადგილობრივ დონეზე არსებულ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა, რომელთა გადაჭრაც წლების მანძილზე არ ხდება, რაც ქალებზე კიდევ უფრო მწვავედ აისახება.¹²⁰

**„ტრანსპორტის თემა აქვე მნიშვნელოვანი, რომ ხელმისაწვდომობა იყოს. გარდა სკოლისა და ბაღისა, ქალი სოფელში ვერ მოახდენ რეალიზებას სხვა მხრივ.“
შუახვევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალი**

საყურადღებოა, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ხედავს ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და მობილობის საკითხების გენდერულ განზომილებას. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს ცალკეული მუნიციპალიტეტები, რომელთა ბიუჯეტებიც ხაზს უსვამენ ამ სფეროში ქალთა საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს საკითხებია, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია/ექსპლუატაცია (ბაღდათისა და ქედის მუნიციპალიტეტი), გარე განათების ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია/ექსპლუატაცია (ბაღდათის, ოზურგეთის, ზუგდიდის, წყალტუბოს, რუსთავისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტები), საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა (ოზურგეთის, ზუგდიდის, ქედის, წყალტუბოსა და თბილისის მუნიციპალიტეტები), წყლის სისტემების განვითარება (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

ზემოაღნიშნულ სისტემურ გამოწვევებთან ერთად, აღსანიშნავია ცალკეული მუნიციპალიტეტების დამოკიდებულება ქალთა გაძლიერების საკითხის მიმართ - მაგალითისთვის, ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელთა განცხადებით - „დაინტერესება არ არის ქალების მხრიდან, თორემ მუნიციპალიტეტი ყველა მხრიდან შეუწყობს ხელს“, რაც ამ მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლების პროაქტიულ როლს უგულებელყოფს და პასუხისმგებლობის მთლიანი ტვირთი ქალებზე გადააქვს. კითხვაზე, თუ რა ინიციატივები განხორციელებულა „დაინტერესების შემთხვევაში“, საბჭოს წევრებმა ერთ-ერთ მაგალითად გაიხსენეს მერიაში 4 თვიანი უფასო სტაჟირება.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალთა ინფორმირებულობა მუნიციპალურ დონეზე არსებულ მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებით ლიმიტირებულია, რაც მომსახურებაში ჩართვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.¹²¹ ცალკეული მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქალთა ინფორმირებულობა წინა წლებთან შედარებით გაზრდილია და ინფორმირების გზად სხვადასხვა მეთოდებს, მათ შორის, ქალთა ოთახის ფარგლებში შეხვედრებს, სკოლებსა და ბაღებში შეხვედრებს, ონლაინ შეხვედრების ორგანიზებას, ტრენინგების ორგანიზებას, ფლაერებზე ინფორმაციების დატანასა და გავრცელებას, ინფორმაციის გაზეთში გამოქვეყნებას იყენებენ.¹²² თუმცა, ამის მიუხედავად, კვლევაში მონაწილე ქალების უმეტესობა ინფორმაციულ ვაკუუმზე მიუთითებს.

119. ფოკუს-ჯგუფი ჭიათურის, თელავის, ახმეტის, დუშეთის, მესტიის, ცაგერის, წალენჯიხის, გორის, ხაშურისა და ხობის, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, ქედის, შუახვევის, ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, მცხეთის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, ონის, ცაგერის, ჩხოროწყუს, სენაკის, წალენჯიხის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ბორჯომის, დმანისის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, მარნეულისა და გორის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

120. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, შუახვევის, ხულოს, მესტიის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

121. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი ქობულეთის, ლანჩხუთის, წყალტუბოს, დედოფლისწყაროს, მესტიის, ყაბღევის, ჩხოროწყუს, ხობის, წალენჯიხის, ახალქალაქის, დმანისის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

122. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი ოზურგეთის, ქედის, ხულოს, გურჯაანის, ბაღდათის, ტყიბულის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან.

4.3.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა კვლავ ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში. სხვადასხვა სისტემური პრობლემები, რაც, მათ შორის, პრევენციისა და რეაგირების სისტემის სისუსტით, მხარდამჭერი სერვისების ფრაგმენტულობითა და დროებითი ხასიათით, ინფორმირებულობისა ნაკლებობითა და სტიგმით ხასიათდება, კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ქალთა უფლებრივ მდგომარეობას.

როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ადგილობრივ გენდერული თანასწორობის საბჭოებს ძირითადად საინფორმაციო კამპანიების განხორციელების ფუნქციები გააჩნიათ.¹²³ ცალკეული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები იმასაც მიუთითებენ, რომ ძალადობის შემთხვევებზე ქალთა მიმართვიანობა გაზრდილია, რაც არა შემთხვევების რაოდენობის ზრდით, არამედ ქალთა ინფორმირებულობის ამაღლებით უნდა აიხსნას.¹²⁴

მიუხედავად მოსახლეობის ინფორმირების ფუნქციისა, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, კვლევის დროს დაფიქსირებული მოსაზრებების გათვალისწინებით, თვითონვე საჭიროებენ გადამზადებას. ამ ნაწილში აღსანიშნავია ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, რომლის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებშიც სტერეოტიპული განწყობები ფიქსირდებოდა. მაგალითისთვის, შეხვედრის დროს ისინი აცხადებდნენ, რომ „ოჯახში ჩხუბის დროს“ გარე პირის ჩართვა მიზანშეწონილი არ არის.

„საზოგადოებამ არ უნდა წაახალისოს ძალადობა, მაგრამ საზოგადოებას გარკვეულ ხელშეწყობა აქვს ასევე ჩარევის უფლება. ბრწყინვალე ცოლ-ქმრის ჩხუბი მართალი ეგონაო“.
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებთან მიმართებით ცოდნისა და მგრძნობელობის სიმწირის შესახებ ისაუბრეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა, რომელთაც მაგალითად მოიყვანეს ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც ფემიციდის მსხვერპლს მკვლელობამდე პრობლემების მოგვარების მიზნით მერის წარმომადგენელთანაც ჰქონდა შეხვედრა, თუმცა, მათი მითითებით, მან სათანადო რეაგირება ვერ მოახდინა და შესაბამის უწყებებთან გადამისამართებაც არ განუხორციელებია. სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ქალებმა ასევე გაუსვეს ხაზი მოცემულ თემაზე პოლიციელების მგრძნობელობის ნაკლებობასა ან/და სოციალური მუშაკების მწირ რაოდენობაზე, რაც მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს შემთხვევების პრევენციის, იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების მიმართულებით.¹²⁵

ამასთან, კვლევის ფარგლებში მოხდა სფეროსთვის რელევანტური მექანიზმების შესახებ ინფორმაციის დამუშავება, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ძალადობა გამოვლილი ქალებისათვის გარკვეული პროგრამები მუნიციპალიტეტების ნაწილში არსებობს. მათი ფუნქციონირებისა და მათზე წვდომის პოლიტიკა და პრაქტიკა, ქვეყნის მასშტაბით ერთგვაროვანი სტანდარტების არარსებობის გამო, მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავდება. ამგვარ მექანიზმებს შორისაა:

123. ფოკუს-ჯგუფი ბაღდათის, წყალტუბოს, ჩოხატაურის, ქედის, ზესტაფონის, ნინოწმინდის, მარნეულის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოს წევრებთან.

124. ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის, თელავის, ახმეტის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოს წევრებთან.

125. ფოკუს-ჯგუფი ხულოს, ლანჩხუთის, ახმეტის, თელავის, სენაკის, ხობის, მარნეულის, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

- ბინის ქირით უზრუნველყოფა;¹²⁶
- ერთჯერადი ფულადი დახმარება;¹²⁷
- მრავალჯერადი ფულადი დახმარება;¹²⁸
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის დატოვების შემდგომ, თავშესაფრის ყოფილი ბენეფიციარების ერთჯერადი ან მრავალჯერადი ფულადი დახმარება, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით;¹²⁹
- მხარდაჭერა მატერიალური, ფულადი ან/და ადამიანური რესურსების გამოყენებით;¹³⁰
- სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება;¹³¹
- სამედიცინო კვლევის, მომსახურების ან/და მედიკამენტების დაფინანსება.¹³²

ცენტრალურ დონეზე, ასევე, მუნიციპალიტეტების ნაწილში არსებული სერვისების არსებობის მიუხედავად, პრობლემურია ამ მომსახურებების დროებითი ან/და ერთჯერადი ხასიათი, ასევე, სერვისში ჩართვისთვის აუცილებელი კრიტერიუმების (როგორცაა, მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის არსებობა ან/და სახელმწიფო ინსტიტუტების (სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი) მიერ რელევანტური სტატუსის მინიჭება) დაკმაყოფილება, რაც ქალებისთვის დიდ ბარიერს ქმნის და დაუცველობის შეგრძნებას აჩენს.

„იყო შემთხვევა ძალადობის, როდესაც ჩაერთო საქმეში პოლიცია, სოციალური; სოციალურმა უთხრა, რომ თავშესაფარში გადავიყვან, სახელმწიფო იზრუნებს შენზეო, თუმცა ამ ქალმა უარი თქვა, მიზეზი ის იყო, რომ თავშესაფარში დიდხანს მაინც არ გააჩერებდნენ და ისევ ქმართან ერჩია დაბრუნება.“
ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალი

როგორც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ანალიზიდან გამოჩნდა, ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამებით სარგებლობისთვის, როგორც წესი, ქალებს უწევთ ისეთი კრიტერიუმების დაკმაყოფილება, როგორცაა, მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის არსებობა ან/და სახელმწიფო ინსტიტუტების (სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი) მიერ რელევანტური სტატუსის მინიჭება. ზემოაღნიშნული ბარიერები ძალადობის მსხვერპლ უამრავ ქალს ტოვებს მინიმალური მხარდაჭერის გარეშე. ამ მხრივ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტის შემთხვევა, რომლის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩასართავად მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მოთხოვნა სავალდებულო აღარაა და ბენეფიტის

126. მაგ. აბაშის, ბოლნისის, გურჯაანის, ვანის, ზუგდიდის, თელავის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მარტვილის, ნინოწმინდის, ოზურგეთის, საგარეჯოს, ქედის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ხონისა და ფოთის მუნიციპალიტეტები.

127. მაგ., ახმეტის, ბოლნისის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, კასპის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, სამტრედიის, სენაკის, ტყიბულის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, რუსთავისა და ფოთის მუნიციპალიტეტები.

128. გულისხმობს ძალადობაგამოვლილი ქალებისათვის ფულადი დახმარების გადაცემას არაერთჯერადად, სულ მცირე, რამდენიმე თვის განმავლობაში; მაგ. ბათუმისა და ქედის მუნიციპალიტეტები.

129. მაგ., გორის, ზესტაფონისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტები.

130. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი; მოცემულ მხარდაჭერაში იგულისხმება: პროფესიული გადამზადება, დასაქმებაში ხელშეწყობა, ოჯახის მხარდამჭერ სერვისებში ჩართულობა, ტრენინგები პოზიტიურ მშობლობაში, საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და საქონლის, საკანცელარიო ნივთების, ჰიგიენური საშუალებების, მედიკამენტების შეძენა არასრულწლოვნისათვის, პირუტყვის შეძენა და სხვა

131. მაგ., ზუგდიდის, ლაგოდეხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები.

132. მაგ. ოზურგეთის, ქობულეთის, წყალტუბოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტები.

მიღების საშუალება ტერიტორიულ ერთეულში ფაქტობრივად მცხოვრებ პირებსაც შეუძლიათ.¹³³

სერვისების მიღების ნაწილში კიდევ ერთ ბარიერს ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი წარმოადგენს. კვლევაში მონაწილე ქალების ნაწილმა მიუთითა, რომ სხვადასხვა წყაროების მეშვეობით მათ გარკვეული ინფორმაცია გააჩნია ცხელი ხაზის, ქალთა და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში რეაგირების არსებული მექანიზმების, მათ შორის, დამცავი და შემაკავებელი ორდერების, ასევე, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის შესახებ.¹³⁴

მეორე მხრივ, არაერთ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ნაწილმა მიუთითა, რომ არ ფლობდა ინფორმაციას რეაგირების მექანიზმების ან/და ამ მიმართულებით არსებული მუნიციპალური სერვისების შესახებ.¹³⁵ ამ მიმართულებით რელევანტურ მაგალითს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემთხვევა, რომელსაც გააჩნია ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, თუმცა როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები მიუთითებენ, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის მიზნით მუნიციპალიტეტისთვის მომართვა არ განხორციელებულა, რაც, უპირველესად, ლოკალურ დონეზე არსებულ მექანიზმებზე მოსახლეობის დაბალი ცნობიერებითა და ინფორმირებულობის ნაკლებობით უნდა აიხსნას.

4.3.3. ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა

ხარისხიან ჯანდაცვაზე წვდომა ქალების წინაშე არსებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. კვლევის პროცესში იდენტიფიცირდა ისეთი გამოწვევები, როგორცაა, მაგალითად, ჯანდაცვის სერვისების ნაკლებობა და წვდომის პრობლემები, ასევე, მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე.

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ჯანდაცვის სერვისების ჯეროვანი დაგეგმვა წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთ ბარიერსაც ცენტრალურ დონეზე არსებულ ინფორმაციაზე წვდომის არარსებობა ქმნის. კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს არ აქვთ წვდომა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზებზე, შედეგად მათ არ აქვთ სტატისტიკა იმისათვის, რომ დააიდენტიფიცირონ საჭიროებების მასშტაბი და პოლიტიკა და პროგრამები დაგეგმონ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.¹³⁶

კვლევის პროცესში იდენტიფიცირდა ქალების საჭიროებებზე მიმართული ჯანდაცვის პროგრამების სიმწირე. მხოლოდ ცალკეული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში გვხვდება ონკოლოგიური დაავადებების მქონე ქალების მედიკამენტებით, გამოკვლევებით (რომელიც მოიცავს სახელმწიფო პროგრამის გარეთ დარჩენილ ადამიანებს) უზრუნველყოფის, ქალების რეაბილიტაციისა ან/და ფულადი დახმარების შემთხვევები.¹³⁷ საერთო ჯამში, ჯანდაცვის პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით მუნიციპალიტეტების პრაქტიკა განსხვავებულია და,

133. ფოკუს-ჯგუფი ხონის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან.

134. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, ქობულეთის, შუახევის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, ტყიბულის, საჩხერის, წყალტუბოს, ხონის, ქუთაისის, დედოფლისწყაროს, მესტიის, ზუგდიდის, მარტვილის, თეთრიწყაროს, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

135. ფოკუს-ჯგუფი ქედის, ლანჩხუთის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, წყალტუბოს, ხონის, ქუთაისის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თიანეთის, მცხეთის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, ჩხორწყის, ხობის, წალენჯიხის, ფოთის, ადიგენის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის, წალკის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, რუსთავის, მარნეულის, ქარელის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

136. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან.

137. მაგ. თბილისის, ბათუმის, ლანჩხუთის, შუახევის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის მუნიციპალიტეტები.

ერთი მხრივ, განპირობებულია საბიუჯეტო სახსრებით, ხოლო, მეორე მხრივ, ამ თემის მიმართ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების სენსიტიურობით.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალების წინაშე მწვავედ დგას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე წვდომა, განსაკუთრებით, სოფლებში.

ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არ ფუნქციონირებს სამშობიარო ან/და გინეკოლოგიური განყოფილებები, რის გამოც სერვისების მისაღებად ქალებს სხვა მუნიციპალიტეტებში წასვლა უწევთ. მაგალითისთვის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები გადაადგილდებიან ზესტაფონში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები - ქუთაისში, ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები - ბათუმში; ნალენჯის მაცხოვრებლები - ზუგდიდში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები - ბორჯომში ან გორში; ყვარლის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები - თელავში. ნალენჯის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების მითითებით, სამშობიარო კლინიკის არარსებობის გამო, ერთ-ერთ ადგილობრივ მშობიარობა გზაში დაეწყო, რაც ფატალურად დასრულდა. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების არარსებობაზე ასევე, საუბრობენ ჩოხატაურის, ტყიბულის, ჩხორწყის, ჭიათურის, სიღნაღის, ადიგენის, კასპის, მესტიის, ასპინძისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ან/და კვლევაში მონაწილე ქალები. სოფლებში მცხოვრები ქალების სამშობიარო კლინიკაზე წვდომა პრობლემად დაასახელეს ვანის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებმა და მიუთითეს, რომ მუნიციპალიტეტში ამგვარი კლინიკის არარსებობის გამო, „შორ სოფლებში“ მცხოვრები ქალები სახლებში მშობიარობენ.

ხულოს მუნიციპალიტეტში გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალური საავადმყოფოს არარსებობა, რაც ჯანდაცვაზე წვდომის სერიოზულ ბარიერს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის.¹³⁸ ამბულატორიული დაწესებულებების მისაწვდომობა ასევე განსაკუთრებით პრობლემურია ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა სოფლებში მაცხოვრებლებისათვის.¹³⁹

ბაღდათის მუნიციპალიტეტში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღება, სპეციალისტის არარსებობის გამო, რაიონულ ცენტრშიც კი პრობლემას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამავე მუნიციპალიტეტის მერიის შენობის წინ განთავსდა მანქანა, რომელიც გულისხმობდა ქალებისათვის გინეკოლოგიური მომსახურების შეთავაზებას და ამ ფორმით სერვისის მისაწვდომობის უზრუნველყოფას, თუმცა, მანქანის ტერიტორიული მდებარეობის გამო ქალების გარკვეული ნაწილი კვლევაზე არ მივიდა. ამჟამად მუნიციპალიტეტი მუშაობს ქალებისათვის ამგვარი სერვისის სხვა, უფრო მოსახერხებელ ადგილზე შეთავაზების მიმართულებით.

მესტიის მუნიციპალიტეტში არსებობს სერვისი და მისაწვდომია გინეკოლოგის მომსახურება, თუმცა ქალები ექიმის სქესის (კაცი) გამო ნაკლებად მიმართავენ, არ სარგებლობენ გეგმიური კვლევებით და ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში სარგებლობენ სხვა ქალაქში არსებული სერვისით.¹⁴⁰

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალები ხაზს უსვამენ სერვისის მიღებისას ტრანსპორტირების ან/და ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემებზე;¹⁴¹ ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემები, მათ შორის, ტრანსპორტირების ნაწილში, ძირითადად არსებობს იმ მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლების წინაშე, რომლებიც იძულებულნი არიან, სერვისი სხვა მუნიციპალიტეტში მიიღონ;¹⁴²

138. ფოკუს-ჯგუფი ხულოს გენდერული საბჭოს წევრებთან.

139. ფოკუს-ჯგუფი კასპისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოს წევრებთან.

140. ფოკუს-ჯგუფი მესტიის გენდერული საბჭოს წევრებთან.

141. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ჩოხატაურის, ლენტეხის, ამბროლაურის, ზუგდიდის, ქარელის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

142. ფოკუს-ჯგუფი ნალენჯის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალები მიუთითებენ ხარისხიანი სერვისის მიღების პრობლემებზე.¹⁴³ კვლევისას ერთ-ერთ გამოწვევად ასევე გამოიკვეთა სერვისის მიღებისას პაციენტების პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკები და შემთხვევები.¹⁴⁴

კლინიკებში შშმ ქალებისათვის ფაქტობრივად არ არსებობს მისაწვდომი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისი, მათ შორის, ადაპტირებული გინეკოლოგიური სავარძელი, რაც ამ ჯგუფის წარმომადგენლების მიერ სერვისის მიღების დაუძლეველ ბარიერებს ქმნის.

კიდევ ერთი მწვავე პრობლემა სერვისის მიღებასთან დაკავშირებული სტერეოტიპული დამოკიდებულებებია, განსაკუთრებით, სამოქალაქო ქორწინებაში არმყოფი ქალებისათვის, რის გამოც ისინი სამედიცინო კონსულტაციისგან თავს იკავებენ.¹⁴⁵

სტერეოტიპულ დამოკიდებულებებზე საუბრობენ ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებიც, რომლებმაც მიუთითეს, რომ მიუხედავად ექიმის არსებობისა, წლების მანძილზე მათ არ მიუწვდებოდათ ხელი აბორტზე, რადგან ექიმი „რელიგიური მიზეზების გამო“, უარს ამბობდა პროცედურის ჩატარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ამჟამად სხვა ექიმი ემსახურება, ქალებს ამ სერვისზე მისაწვდომობა მაინც არ აქვთ სამედიცინო რესურსების არარსებობის გამო.¹⁴⁶

ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, რომ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ ტაბუდადებულია, ამიტომ მოსახლეობის ნაწილი კვლავ ინფორმაციულ ვაკუუმში რჩება, რაც ამ მიმართულებით ქალთა უფლებების რეალიზაციაზე უარყოფითად იხსნება.¹⁴⁷ მაგალითისთვის, კვლევაში მონაწილე ცალკეულ პირებს ჰქონდათ არასწორი ინფორმაცია აბორტის შესახებ და მიიჩნევდნენ, რომ აბორტი საქართველოში აკრძალულია.¹⁴⁸

4.3.4. მონყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მუნიციპალურ დონეზე მონყვლადი ჯგუფების საჭიროებები ჯერ კიდევ სრულად არ არის იდენტიფიცირებული და სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს მათ წინაშე არსებულ სისტემურ გამოწვევებზე პასუხი.

კვლევის ფარგლებში, ერთ-ერთ მონყვლად ჯგუფად **შშმ ქალები** გამოიკვეთა. მათთვის გამოწვევად დაფიქსირდა ტრანსპორტის,¹⁴⁹ ფიზიკური გარემოს, ინფორმაციის მისაწვდომობის პრაქტიკულად არარსებობა, რის გამოც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ ჩართულობა, ხშირ შემთხვევაში, დაუძლეველი ბარიერების წინაშე დგება.

საერთო ჯამში, შშმ პირების, მათ შორის, შშმ ქალების, მიმართ მუნიციპალიტეტების პრაქტიკა არაერთგვაროვანია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მონყვლად ჯგუფებთან შედარებით, შშმ პირთა მიმართ პროგრამები/ინიციატივების რაოდენობა უფრო მეტია. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მათი შინაარსი ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემას გულისხმობს და არ მოიცავს მხარდაჭერის მდგრადი სერვისების უზრუნველყოფას.

143. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, ქედის, ხულოს, დედოფლისწყაროს, თელავის, ზუგდიდის, დმანისის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან

144. ფოკუს-ჯგუფი სენაკის, ახალქალაქის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან

145. ფოკუს-ჯგუფი ხულოს, ახმეტის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან

146. ფოკუს-ჯგუფი ვანის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან

147. ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ბაღდათის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ონის, ცაგერის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ფოთის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, წალკის, თეთრიწყაროს, მარნეულის, კასპის, ქარელის, ხაშურის, გორის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

148. ფოკუს-ჯგუფი სამტრედიის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

149. საჩხერის მუნიციპალიტეტმა მიუთითა, რომ მის ტერიტორიაზე შშმ პირებისთვის მისაწვდომი ტრანსპორტი ფუნქციონირებს.

შპმ პირების, მათ შორის, შპმ ქალების მდგრადი მხარდაჭერის საჭიროებას აღნიშნავენ მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებიც. მაგალითისთვის, ისინი უთითებენ, რომ მიუხედავად საჭიროებისა, ბევრ ლოკაციაზე არ მოქმედებს პერსონალური ასისტენტის, შინ მოვლის ან/და რეაბილიტაცია-აბილიტაციის სერვისები.¹⁵⁰ მსგავსი სერვისების არარსებობა ან/და ნაკლებობა, ერთი მხრივ, უარყოფით ზეგავლენას ახდენს შპმ პირების (მათ შორის, ქალების) დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო ინტენსიურს ხდის ოჯახის წევრების აუნაზღაურებელ შრომას, რომელსაც, როგორც წესი, ქალები გასწევენ.

კიდევ ერთი საჭიროება, რაც შპმ პირთა სერვისებთან დაკავშირებით იდენტიფიცირდა, დღის ცენტრებისა და შპმ ბავშვთა მხარდაჭერი სერვისების არსებობაა.¹⁵¹ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ამგვარი სერვისის არ არსებობს, თუმცა მომსახურების მისაღებად ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტში ტრანსპორტირების ხარჯები. მიუხედავად ამგვარი მხარდაჭერის მნიშვნელობისა, ქალები აღნიშნავენ სერვისის მუნიციპალიტეტში არსებობის აუცილებლობაზე, რადგან ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დროითი რესურსის ტვირთიც, ქალებზე, როგორც ზრუნვით შრომაში ჩართულ პირებზე, მოდის.¹⁵²

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ნაკლებად საუბრობდნენ პოლიტიკაში **ხანდაზმული ადამიანების** საჭიროებების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ხშირად გამორიცხულნი არიან სახელმწიფო პოლიტიკიდან.¹⁵³ მოცემულ ჯგუფზე ყურადღება მხოლოდ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა გაამახვილეს, რომელთაც მიუთითეს, რომ მერიის სოციალური სამსახური და სოციალური მომსახურების სააგენტო მუნიციპალიტეტის შენობის მესამე სართულზეა განლაგებული, სადაც ხანდაზმულებს უჭირთ ასვლა. შესაბამისად, სოციალურ სერვისებში ჩართვის ნაწილში მათ წინაშე ინფორმაციულთან ერთად, ფიზიკური ბარიერებიც არსებობს.

კვლევის პროცესში ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფად **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები** მოინიშნენ. ცალკეული მუნიციპალიტეტები უთითებენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებისგან მათი გარიყულობის დიდი ხარისხიდან გამომდინარე, მათ მიმართ ახორციელებენ მხარდაჭერის გარკვეულ პროგრამებს.¹⁵⁴ მიუხედავად ამისა, კვლევაში მონაწილე ქალების ნაწილმა ხაზი გაუსვა ადგილობრივი ხელისუფლების პასიურ როლზე ინტეგრაციის მიღწევის მიმართულებით.¹⁵⁵

იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტები არ ითვალისწინებენ რესურსებს ეთნიკური უმცირესობებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე დოკუმენტების, საჯარო ინფორმაციის, ასევე ამ ჯგუფის წარმომადგენლის მიერ შეტანილი განცხადების ან საჩივრის ქართულ ენაზე თარგმნის მიმართულებით, თარგმნის მთელი ტვირთი (მათ შორის, ფინანსური ტვირთი) ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გადმოდის, რაც მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ამ ადამიანების მიერ სხვადასხვა სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და მათში ჩართვის მიმართულებით. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების ინფორმაციულ ვაკუუმსა და

150. ფოკუს-ჯგუფი თელავის, ხონის, წყალტუბოს, ქიათურის, ბაღდათის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ახმეტის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქედის, ვანის, თერჯოლის, ლენტეხის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან.

151. ფოკუს-ჯგუფი ტყიბულის, მარნეულის, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

152. ფოკუს-ჯგუფი ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

153. ფოკუს-ჯგუფი ტყიბულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

154. ფოკუს-ჯგუფი ქობულეთის გენდერული საბჭოს წევრებთან.

155. ფოკუს-ჯგუფი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

გარიყულობაზე კვლევის ფარგლებში არაერთმა აქტორმა გაამახვილა ყურადღება.¹⁵⁶

ზემოაღნიშნულის პარალელურად, ერთი ჯგუფი, რომელზეც ყურადღებას არც მუნიციპალური ბიუჯეტები, სამოქმედო გეგმები თუ სხვა პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არ ამახვილებენ, **ლბტ ქალები** არიან, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ჯგუფის უკიდურეს ექსკლუზიასა და უჩინარობაზე.

ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალები ყურადღებას ამახვილებენ ლბტ ქალების წინაშე არსებულ გამოწვევებზე¹⁵⁷ და მიუთითებენ, რომ მათ მიმართ არსებული უდიდესი წნეხი აიძულებს მათ, დატოვონ საცხოვრებელი და შიდა/გარე ემიგრაციაში წავიდნენ.¹⁵⁸ კვლევაში მონაწილე ქალების ნაწილმა მიუთითა, რომ აქვთ ინფორმაცია მათ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები ქვიარ თემის წარმომადგენლების შესახებ, რომელთაც არ აქვთ საკუთარი იდენტობის გამოსატვის შესაძლებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებისა და ოჯახის წევრებისაგან ძალადობის რეალური საფრთხის წინაშე დგებიან.¹⁵⁹

ამ ჯგუფის წარმომადგენელთა წინაშე არსებულ გამოწვევებს ადასტურებს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარეც, რომელიც მიუთითებს, რომ არსებული განწყობებისა და სტერეოტიპული შეხედულებების გათვალისწინებით, ლბტ ქალთა თემთან დაკავშირებით რაიმე მიმართულებით წინსვლა არ მომხდარა.¹⁶⁰

4.4. ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ქალთა ჩართულობა და ეფექტიანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში შეფასდა ერთი მხრივ, ქალთა შესაძლებლობა, დასაქმდნენ მუნიციპალიტეტში და იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, მეორე მხრივ, ქალთა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4.4.1. მუნიციპალურ თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობითობა

ადგილობრივ დონეზე არსებული არაერთი გენდერული თანასწორობის საბჭო აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალებსა და კაცებს დასაქმების ერთნაირი შესაძლებლობები აქვთ და ამ ნაწილში ქალების წახალისების მექანიზმები არ არსებობს.¹⁶¹ ამასთან, ისინი მიუთითებენ, რომ მუნიციპალიტეტებში ერთსა და იმავე თანამდებობაზე ქალებისა და კაცების ანაზღაურება თანაბარია და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე საშტატო ნუსხითაა დამტკიცებული.

მუნიციპალიტეტები ასევე უთითებენ, რომ დასაქმებულებისათვის მისაღებ სამუშაო გარემოს ქმნიან, თუმცა, მაგალითად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი მიუთითებს, რომ შენობაში, სადაც მერია და საკრებულოა განთავსებული, სველი წერტილი

156. ფოკუს-ჯგუფი გარდაბნის გენდერული საბჭოს წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი საგარეჯოს, ნინოწმინდის, გარდაბნის, კასპის, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

157. ფოკუს-ჯგუფი ზუგდიდის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

158. ფოკუს-ჯგუფი ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

159. ფოკუს-ჯგუფი ჩხორონყუს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

160. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან.

161. ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის გენდერული საბჭოს წევრებთან.

არ არის (მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს აქვს პერსონალური სველი წერტილები კაბინეტის სივრცეში), რის გამოც სველი წერტილებით სარგებლობისთვის სახლში უწევს წასვლა.¹⁶²

გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლების უმრავლესობა მიუთითებს, რომ ქალებს არ გააჩნიათ მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და წინსვლის ბარიერები. თუმცა, კვლევის პროცესში გამოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თანამდებობებზე ქალების მუშაობის პრაქტიკა არაერთგვაროვანია. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში გადაწყვეტილების მიმღებ გარკვეულ თანამდებობებზე ქალები არიან წარმოდგენილნი,¹⁶³ რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ნაწილში.

მეორე მხრივ, არსებობს მუნიციპალიტეტები, სადაც თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობითობა დაბალია. როგორც წესი, ამგვარ მუნიციპალიტეტებში ერთეული შემთხვევების გარდა, მაღალ თანამდებობებს კაცები იკავებენ, ხოლო დაბალი რანგის საჯარო მოხელეებს ქალები შეადგენენ.¹⁶⁴ უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტებში არსებობს პოზიციები, რომელზეც პრაქტიკულად მხოლოდ ქალები არიან ექსკლუზიურად დასაქმებულნი, მაგალითად, მისაღებსა და საქმისწარმოების განყოფილებაში, ასევე, ისეთ სტრუქტურულ ერთეულებში, როგორცაა, ბიბლიოთეკა და საბავშვო ბაღები.¹⁶⁵

„მდივან-რეფერენტზე ჰქონდა მაგალითად კაცს საკრებულოში შემოტანილი განაცხადი და მოკვდნენ სიცილით, როგორ შეიძლება კაცი მდივან-რეფერენტი იყოსო.“
ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

„მერიის ვაკანსია იყო ერთ-ერთ სოფელში რწმუნებულის პოზიციაზე, საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა ქალი კანდიდატი, გაიარა გასაუბრება, ყველაფერი კარგად. [თუმცა] იმიტომ რომ ქალი ხარ და მილი რომ გასკდება ღამე ვერ წახვალ შესაკეთებლადო, უარი უთხრეს“
ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალი

ქალების მითითებით, მუნიციპალიტეტში (მათ შორის, ააიპ-ებში) არსებული იმ სამუშაო ადგილებისთვის, რომელსაც ისინი „ტრადიციულად“ იკავებენ, დაბალი ანაზღაურებაა, რაც არასაკმარისია მათი მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვისაც კი, რაც ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს.¹⁶⁶

საბოლოო ჯამში, კვლევის დროს რამდენიმე პრობლემური მიმართულება გამოიკვეთა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმების ან/და წინსვლის ნაწილში ქალებისთვის მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის:

162. ფოკუს-ჯგუფი წალენჯიხის გენდერული საბჭოს წევრებთან.

163. მაგალითად, დუშეთის, ბათუმის, წყალტუბოს, ქუთაისის, ოზურგეთის, შუახევის, გურჯაანის, ბაღდათის, თერჯოლის, საჩხერის, ხარაგაულის, ჭიათურის, ხონის, ლენტეხის, ამბროლაურის, მესტიის, ონის, ცაგერის, ჩხოროწყუს, ახალციხის, თეთრიწყაროს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტები.

164. მაგალითად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთი გამონაკლისის გარდა, მერიის ყველა სამსახურის უფროსი კაცია; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვიცე-მერი ქალია, თუმცა დანარჩენი მაღალი რანგის თანამდებობებზე კაცები არიან; ხულოს მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მითითებით, გადაწყვეტილების მიმღები პირები კაცები არიან - მერიის 10 სამსახურიდან მხოლოდ 1 სამსახურის ხელმძღვანელია ქალი; თელავის, ასევე, ხონის მუნიციპალიტეტის მერის ყველა წარმომადგენელი სოფელში კაცია; სამტრედიის მუნიციპალიტეტში საკრებულოს 5 კომისიიდან 4 კომისიის ხელმძღვანელი კაცია; გადაწყვეტილების მიმღებ ქალთა სიმწირვა სხვა ლოკაციებზეც, მათ შორის, დედოფლისწყაროს, თელავის, საგარეჯოს, გარდაბნის, გორის მუნიციპალიტეტებში.

165. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, თელავის, ზესტაფონის, მარტვილის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი ქედის, ტყიბულის, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

166. ფოკუს-ჯგუფი ხულოს, ბაღდათის, ვანის, თერჯოლის, საჩხერის, გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

- მუნიციპალიტეტებს არ აქვთ დანახებული სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმები, რაც ქალთა დასაქმებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს;¹⁶⁷
- ცალკეულ მუნიციპალიტეტებში პრობლემურია დასაქმებული ქალების პროფესიული გადამზადების საკითხები. ძირითად შემთხვევაში, ქალები გადამზადებასა და ტრენინგებში მონაწილეობაზე უარს საოჯახო შრომისა და ზრუნვის ტვირთის გამო ამბობენ.¹⁶⁸ გადამზადების ნაწილში ასევე აღსანიშნავია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ცალკეულ ქალ დასაქმებულებს ქმრები არ აძლევდნენ ტრენინგში მონაწილეობის უფლებას და ამგვარ ღონისძიებებში ის ქალები იღებენ მონაწილეობას, რომლებიც „უფრო რეალიზებულნი“ არიან;
- დმანისის, ნინოწმინდისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ქალთა დასაქმების ერთ-ერთ ბარიერს ის წარმოადგენს, რომ ქალებს ქმრები/ოჯახის წევრები არ აძლევენ მუშაობის საშუალებას;
- ქალთა შინ შრომის ტვირთი, ასევე, მათ მიმართ არსებული სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება ხელს უშლის მათ, იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე;¹⁶⁹
- კომისიებში ქალთა მასობრივი დასაქმების მიმართულება გამონვევებთანაა დაკავშირებული, იმდენად, რამდენადაც ამ პოზიციების დაკავება პირდაპირ კავშირში არის ადამიანების წინასაარჩევნო კამპანიებში ჩართულობის ინტენსივობასთან. შესაბამისად, პოლიტიკური პოზიციებიც აღნიშნულის მიხედვით ყალიბდება;¹⁷⁰
- მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა¹⁷¹ მიუთითა, რომ მისი შენობა მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის მისაწვდომი შშმ პირებისათვის,¹⁷² რაც არა მხოლოდ გამორიცხავს მათ დასაქმებას და მუნიციპალურ საქმიანობაში აქტიურად ჩართვას, არამედ მოქალაქისთვის წარმოადგენს ბარიერს, შეაღწიოს შენობაში და მონაწილეობა მიიღოს საჯარო შეხვედრებსა და სხდომებში.
- შშმ ქალებთან ერთად, ამგვარ მოწყვლად ჯგუფად გამოიკვეთა ეთნიკური ან/და ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებიც, რომელთა დასაქმების ნაწილში ერთ-ერთ მთავარ გამონვევას ენობრივი ბარიერი წარმოადგენს.¹⁷³

ზემოაღნიშნულის ფონზე, არაერთი აქტორი მნიშვნელოვნად მიიჩნევს კვოტირების მექანიზმის არსებობას. მაგალითისთვის, პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ კვოტირების მექანიზმის გათვალისწინებით ადგილობრივ დონეზე თანამდებობებზე თითოეულ მუნიციპალიტეტში საკრებულოს თავმჯდომარის, სულ მცირე, ერთი მოადგილე მაინც ქალია და დაცულია შესაბამისი კვოტები.¹⁷⁴ კვოტირებას დადებითად აფასებს

167. შენიშვნა: ამ ნაწილში ცალკეულმა მუნიციპალიტეტებმა (ქუთაისის, ვანის, გარდაბნის, გორის, მუნიციპალიტეტები) მიუთითეს ქვევის/ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის ჩანაწერებზე.

168. ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის, შუახევის, ბაღდათის, წალკის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან.

169. ფოკუს-ჯგუფი ბაღდათის, ხონის, ვანის, თიანეთის, გარდაბნის, რუსთავის, ხაშურის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი ტყიბულის, ახმეტის, ახალციხის, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

170. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან

171. გამონაკლისს წარმოადგენს ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, რომლის გენდერული საბჭოს წევრებმა მიუთითეს, რომ შენობა სრულად მისაწვდომია მობილობის პრობლემების მქონე შშმ პირებისათვის.

172. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი რუსთავის, გურჯაანის, თელავის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, დედოფლისწყაროს, ქობულეთის, ჩოხატაურის, ხულოს, შუახევის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, ახმეტის, ჭიათურის, ტყიბულის, ხონის, ლენტეხის, მესტიის, აბაშის, მარტვილის, ფოთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ახალციხის, გარდაბნის, წალკის, ბოლნისის, მარნეულის, ხაშურის, ხობის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან.

173. ფოკუს-ჯგუფი ოზურგეთის, ქობულეთის, დმანისის, თეთრიწყაროს, მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრებთან.

174. ინტერვიუ პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარესთან.

მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების უმეტესობა, თუმცა მიუთითებს, რომ აღნიშნული მექანიზმი მხოლოდ დროებით, სასურველი შედეგის მიღწევამდე უნდა იყოს გამოყენებული.

კვოტირების მექანიზმთან დაკავშირებით უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირეს ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა და მიუთითეს, რომ „მხოლოდ კანონის გამო შეჰყავთ საკრებულოში ისეთი ქალი წევრები, რომელსაც საკუთარი მოსაზრება არ გააჩნიათ და პარტიულ ინტერესებს უპრობლემოდ ატარებენ; ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოებმა მიუთითეს, რომ კვოტირების ნაცვლად ადამიანების შერჩევა მათი რეალური კვალიფიკაციის მიხედვით უნდა განხორციელდეს. მოცემული მექანიზმი მწვავედ გააკრიტიკეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა ქალებმაც, რომლებმაც განაცხადეს, რომ კვოტირება დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელია, თუმცა, აუცილებელია ამ მოცემულობაში. მეორე მხრივ, კვოტირების მექანიზმს საბჭოს წევრი კაცები სრულიად სტერეოტიპულად უდგებიან.

„ბატონო [საბჭოს წევრის სახელი], აი ჩვენ როგორ გავვიმართლა, ხედავთ? რა სილამაზეა, ხედავთ? (ქალებზე უთითებს) ჩვენ თანახმა ვართ, უმცირესობაში ვიყოთ.“
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი კაცი

4.4.2. გადაწყვეტილების მიღების დროს ქალთა მონაწილეობის შესაძლებლობები

ლოკალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების დროს ქალთა ჩართულობის ნაწილში მუნიციპალიტეტებს არაერთგვაროვანი პრაქტიკები აქვთ. კვლევის ფარგლებში ცალკეულმა მუნიციპალიტეტებმა მიუთითეს სოფლის კრებებში, ადგილობრივებთან სხვადასხვა ფორმატის შეხვედრების შესახებ, მათ შორის, ბიუჯეტის განხილვის მიზნით.¹⁷⁵ მიუხედავად ლოკალური პრაქტიკების სხვაობისა, არაერთმა მუნიციპალიტეტმა, ასევე ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს, რომ სხვადასხვა ტიპის შეხვედრებში ქალების ჩართულობისა და მონაწილეობის მასშტაბი უკანასკნელ წლებში გაიზარდა.¹⁷⁶

მიუხედავად ამისა, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს, რომ მუნიციპალიტეტში შეხვედრებისას, გადაწყვეტილების მიღების დროს, მათ შორის, ბიუჯეტის შემუშავებისას, მათი ჩართულობის ხარისხი მკვეთრად დაბალია.¹⁷⁷ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ქალებმა ასევე ხაზი გაუსვეს იმას, რომ სოფლის კრებებში, რაც ლოკალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისა და საჭიროებების გაზიარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, მონაწილეობას არ იღებენ, მათ შორის, მისი მხოლოდ ფორმალური ხასიათის, ინფორმაციის ან/და სურვილის არარსებობის (უმეტესწილად, ნიჰილიზმის) გამო.¹⁷⁸

175. ფოკუს-ჯგუფი ხარაგაულის, ამბროლაურის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან.

176. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი ოზურგეთის, შუახევის, ამბროლაურის, წალკის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი ქედის, ჩოხატაურის, საჩხერის, წყალტუბოს, ჭიათურის, ახმეტის, ყვარლის, მარტვილის, კასპის, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

177. ფოკუს-ჯგუფი შუახევის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ხარაგაულის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, თიანეთის, მცხეთის, ლენტეხის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, აბაშის, ჩხოროწყუს, ხობის, ფოთის, ადიგენის, დმანისის, წალკის, ბოლნისის, ხაშურის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

178. ფოკუს-ჯგუფი ლანჩხუთის, ასპინძის, ახალციხის, შუახევის, ხულოს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, წყალტუბოს, ხონის, ქუთაისის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, თიანეთის, მცხეთის, ლენტეხის, მესტიის, ცაგერის, ზუგდიდის, აბაშის, ჩხოროწყუს, ფოთის, ადიგენის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის, გარდაბნის, ხაშურის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

**„სოფლის წარმომადგენელი იყო მერიაში და პრობლემები რომ დავასახელე, მისაყვედურეს, რატომ თქვიო. გასულ წელს ვიყავი და რომ ვთქვი პრობლემები, აღარ მინვევენ.“
მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალი**

ზემოაღნიშნულ ბარიერებთან ერთად, გამოწვევას წარმოადგენს სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელ ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს **შშმ ქალები** წარმოადგენენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვანი ნაწილის ადმინისტრაციული შენობები საერთოდ ან ნაწილობრივ არ არის მისაწვდომი მობილობის პრობლემების მქონე შშმ პირებისათვის, რაც შენობაში შეღწევადასა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში ამ თემის ჩართულობას გამორიცხავს. მეორე მხრივ, პრობლემას წარმოადგენს სხვა საჭიროების მქონე შშმ პირების (მაგ., სმენის პრობლემების მქონე შშმ პირების) არა მხოლოდ ჩართულობა და მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში/პროცესებში, არამედ მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან კომუნიკაცია და მნიშვნელოვან საკითხებზე მათგან ინფორმაციის/კონსულტაციის მიღება, რაც ისევ მისაწვდომობის (მათ შორის, სურდო თარჯიმნის სერვისის) მიმართულებით არსებული გამოწვევების შედეგია.¹⁸¹

კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც შეხვედრებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანი ბარიერები ექმნება,¹⁸² **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები** არიან. სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი მაჩვენებელი და სახელმწიფოს მხრიდან ამ ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მისაწვდომობის უფლების უგულებელყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესებიდან მათი გარიყვის წინაპირობა ხდება. მთელი რიგი მუნიციპალიტეტები (მათ შორის, ახმეტის, ქობულეთის, დედოფლისწყაროს, თელავის მუნიციპალიტეტები) მიუთითებენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების, მათ შორის, ქალების ინტეგრაციისა და მათთან კომუნიკაციის დაბალ ხარისხზე. მეორე მხრივ, ცალკეული მუნიციპალიტეტები (მაგ., საგარეჯოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები) მიუთითებენ, რომ ზემოაღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლების აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

ჩართულობასა და მონაწილეობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრეს **რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელმა ქალებმა**. მაგალითისთვის, ხულოს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტს ისლამური მემკვიდრეობის თემატიკაზე წარუდგინეს ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, მოხდებოდა ისლამური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე, ასევე, ტურისტულ რუკებსა და გზებზე არსებულ საინფორმაციო დაფებზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა მათი ინიციატივა, რაც, მათი აზრით, სხვა მაგალითებთან ერთად, მიუთითებს იმ პრაქტიკაზე, რომ უშუალოდ შეხვედრაში მონაწილეობას მუნიციპალიტეტი არ უკრძალავს, თუმცა ქალების რეკომენდაციებსა და წინადადებებს არ იზიარებს, შესაბამისად მათი ჩართულობაც შედეგის გარეშე სრულდება.

ჩართულობის ბარიერებზე საუბრისას მოსახლეობამ ასაკობრივ განზომილებებზეც გაამახვილა ყურადღება. მაგალითისთვის, კვლევაში მონაწილე ქალებმა მიუთითეს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში **ახალგაზრდების** ჩართულობის დაბალ ხარისხსა და მათი მონაწილეობის

181. ფოკუს-ჯგუფი თბილისის, ამბროლაურის, მესტიის, ცაგერის, დმანისის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი დედოფლისწყაროს, ამბროლაურის, მესტიის, ცაგერის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

182. ფოკუს-ჯგუფი გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

საჭიროებაზე.¹⁸³ კვლევის ცალკეულმა მონაწილეებმა ასევე გაამახვილეს ყურადღება **ხანდაზმულების** ჩართულობის პრობლემაზე და აღნიშნეს, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები სრულიად გარიყულნი არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესებიდან.¹⁸⁴ ზემოაღნიშნულ ჯგუფებთან ერთად, ერთ-ერთ გარიყულ ჯგუფად ასევე დასახელდნენ **დევნილები**, რომლებმაც განაცხადეს, რომ აქვთ სხვადასხვა უწყებებთან კომუნიკაციის გამოწვევები და არ არიან ინფორმირებულნი ლოკალურ დონეზე მიმდინარე არც ერთი პროცესის შესახებ.¹⁸⁵

ზემოთქმულის პარალელურად, უნდა აღინიშნოს, რომ ქალების ჩართულობისა და აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას მოსახლეობის მაღალი ცნობიერება წარმოადგენს. ამ ნაწილში მუნიციპალიტეტების პრაქტიკა არაერთგვაროვანია. არაერთმა მუნიციპალიტეტმა აღნიშნა, რომ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში საინფორმაციო შეხვედრებს ატარებს. მოცემულ აქტივობებში, როგორც წესი, გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრები არიან ჩართულები და რომლებიც შეხვედრებს სხვადასხვა ლოკაციებზე (მაგ. ბალები, სკოლები) ახორციელებენ.¹⁸⁶ ცალკეულ ლოკაციებზე მცხოვრებმა ქალებმა ასევე მიუთითეს, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს მოსახლეობაში ინფორმირებულობის ზრდის მიზნით.¹⁸⁷ მიუხედავად ამისა, როგორც სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები, ასევე, ცალკეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ ქალების ინფორმირებულობის დონე კვლავ საშუალოზე დაბალია.¹⁸⁸

სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო აქტივობის შედეგად, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალები მიუთითებენ, რომ არიან ინფორმირებულნი ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის საკითხების, ასევე ამ თემაში მოქმედი დოკუმენტების შესახებ.¹⁸⁹ თუმცა, ამ შემთხვევაშიც, კვლევის პროცესში ჭარბობდნენ ქალები, რომლებსაც აღნიშნული დოკუმენტებისა და რელევანტური მექანიზმების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ.¹⁹⁰ განსაკუთრებით გამოწვევას წარმოადგენს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციაზე წვდომა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ან/და იმ ქალებისათვის, რომლებსაც ინტერნეტზე წვდომა არ აქვთ.¹⁹¹

183. ფოკუს-ჯგუფი შუახევის, აბაშის, კასპის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

184. ფოკუს-ჯგუფი დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

185. ფოკუს-ჯგუფი ხაშურისა და გორის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

186. ფოკუს-ჯგუფი თბილისის, ოზურგეთის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ხულოს, შუახევის, ქობულეთის, ბათუმის, საგარეჯოს, ვანის, საჩხერის, სამტრედიის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს, ასპინძის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან.

187. ფოკუს-ჯგუფი ჩოხატაურის, საგარეჯოს, მცხეთის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

188. ფოკუს-ჯგუფი ხულოს, ყვარლის, თერჯოლის, ჭიათურის, ტყიბულის, ამბროლაურის, მესტიის, აბაშის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ხობის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წევრებთან; ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, ქობულეთის, ლანჩხუთის, ბაღდათის, ტყიბულის, ყვარლის, აბაშის, ქარელის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

189. ფოკუს-ჯგუფი ბათუმის, ჩოხატაურის, გორის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

190. ფოკუს-ჯგუფი შუახევის, ლანჩხუთის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, საჩხერის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხონის, ქუთაისის, დუშეთის, თიანეთის, ლენტეხის, ამბროლაურის, ხაშურის, ქარელის, მესტიის, კასპის, მარნეულის, ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ხობის, წალენჯიხის, ფოთის, ადიგენის, ახალქალაქის, ასპინძის, ნინოწმინდის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, რუსთავის, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

191. ფოკუს-ჯგუფი ჩოხატაურის, ხულოს, ლაგოდეხის, თიანეთის, ზუგდიდის, ადიგენის, თეთრიწყაროს, მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

**„დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს.
საიტზე დევს ეს დოკუმენტები.
ინტერნეტით სარგებლობა არ ვიცი მაგალითად და როგორ ვნახო?“
ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები**

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ლოკაციაზე მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, რომ მათი ჩართულობა გადანყვეტილების მიღების პროცესში გაიზარდა, ქალების ინფორმირებულობის ხარისხი ჩართულობის, მონაწილეობისა და ადვოკატირების მიმართულებით კვლავ მნიშვნელოვნად დაბალია. განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს სხვადასხვა ჯგუფების (მათ შორის, შშმ ქალების, ეთნიკური ან/და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების, ხანდაზმულების) მონაწილეობის შესაძლებლობის რეალიზაცია, რაც მათ უსპობს შესაძლებლობას, მათ წინაშე არსებული გამოწვევები საჯარო დღის წესრიგში დააყენონ.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია:

- 2023 წლის განმავლობაში, ათეა-სთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს საქართველოს მუნიციპალიტეტების ინფორმირება და კოორდინაცია რელევანტურ უწყებებს შორის, ცენტრალურ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიმართულებებისა და პრიორიტეტების, მათ შორის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და სტანდარტების შესახებ;

მუნიციპალიტეტებს:

- სხვადასხვა დაინტერესებული აქტორის, მათ შორის, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების, აქტიური მონაწილეობით შეიმუშაონ და დაამტკიცონ გენდერული თანასწორობის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები (ასეთის არარსებობის შემთხვევაში);
- გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტებში გაითვალისწინონ ყველა მოწყვლადი ქალის (მათ შორის, შშმ ქალების, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების, ხანდაზმულების, ლბტ ქალების და სხვა.) საჭიროებები;
- მოახდინონ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების უზრუნველყოფა სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსებით;
- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისა და გენდერული საბჭოს წევრთა პერიოდული გადამზადება ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენ-სტრიმინგის საკითხებზე;
- უზრუნველყონ ადგილობრივ დონეზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ პერიოდულად კვლევების ჩატარება და მის შედეგებზე დაყრდნობით სხვადასხვა ტიპის სერვისების შემუშავება და ამოქმედება, მათ შორის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, ჯანდაცვის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სფეროში.
- შეიმუშაონ მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგია და უზრუნველყონ მათი ეფექტიანი განხორციელება;
- უზრუნველყონ სისტემური და სისტემატიური ღონისძიებები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების დროს გაითვალისწინონ ყველა მოწყვლადი ქალის (მათ შორის, შშმ ქალების, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების, ხანდაზმულების, ლბტ ქალების და სხვა.) საჭიროებები.

